

ლერი ჯიბლაძე, ბიძინა მურვანიძე,
†ნიკოლოზ ჩუბინიშვილი

გულეიკარის ნამოსახლარი



ლერი ჯიბლაძე, ბიძინა მურვანიძე,
†ნიკოლოზ ჩუბინიშვილი

გულეიკარის ნამოსახლარი



Leri Jibladze, Bidzina Murvanidze,
†Nikoloz Chubinishvili

GULEIKARI SETTLEMENT

ნაშრომში მოცემულია აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. გულიეკარის „ნაეკლესიარის“ ბორცვ-ნამოსახლარზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. განხილულია გათხრების მიმდინარეობა, მონაპოვარი მასალის დახასიათება, სამეცნიერო ინტერპრეტაცია, ქრონოლოგიის საკითხები და ა.შ. ნაშრომი სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად საყურადღებოა იმითაც, რომ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის გამოუქვეყნებელი მასალები.

მონოგრაფია განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისა და კოლხეთის უძველესი ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი:
ისტორიის დოქტორი **რევაზ პაპუაშვილი**

რეცენზენტები:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **დიმიტრი ახვლედიანი**
არქეოლოგიის დოქტორი **რევაზ კვიციანი**

შინაარსი

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 4 |
| თავი I. გულეიკარის ნამოსახლარი | |
| § 1. ძეგლის დახასიათება, გათხრების მიმდინარეობა, სტრატეგრაფია | 5 |
| § 2. ძეგლურ ნაგებობათა ნაშთები..... | 17 |
| თავი II. გულეიკარის ნამოსახლარის მონაპოვარი მასალა: | |
| § 3. მეთუნეობა | 21 |
| § 4. ქვისა და თიხის მასალა | 28 |
| თავი III. გულეიკარის ნამოსახლარის ქრონოლოგია..... | 34 |
| დასკვნა | 39 |
| რეზიუმე | 40 |
| ლიტერატურა..... | 41 |
| ტაბულების აღწერილობა | 46 |
| ტაბულები | 50 |
| შემოკლებათა განმარტება..... | 97 |

შესავალი

2006 წელს ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიცია სამუშაოებს აწარმოებდა აბაშის რ-ნის სოფ. გულეიკარში¹, „ნაეკლესიარის“ სახელით ცნობილ ბორცვ-ნამოსახლარზე. სტაციონალური სამუშაოების დაწყებამდე, ჯერ კიდევ 1999 წელს, ნავთობსადენის 796-ე კმ-ზე გამოვლინდა ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენა [პაპუაშვილი 1999:99]. ვინაიდან ძეგლი ე.წ.სამშენებლო დერეფანში იყო მოქცეული აუცილებელი გახდა არქეოლოგიური გათხრების ჩატარება.

სოფ. გულეიკარში არსებული ძეგლები, მათ შორის „ნაეკლესიარი“, პირველად ნახსენები აქვს ქ.ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ბ. გოგოლიშვილს, რომელმაც ისინი გასული საუკუნის 40-იან წლებში შედგენილ „კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების რუკაზეც“² დაიტანა.

2006 წელს გულეიკარის ბორცვზე წარმოებული სამუშაოებისას აღმოჩნდა საყურადღებო არქეოლოგიური მასალა, მაგრამ სამწუხაროდ, უსახსრობის გამო შემდგომში გათხრების გაგრძელება ვერ მოხერხდა.

ჩვენ მიზნად დავისახეთ გულეიკარის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალის მონოგრაფიული შესწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. ნაშრომის მომზადებისას ვეყრდნობოდი გულეიკარის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის ან განსვენებული ნიკოლოზ ჩუბინიშვილის 2006 წელს ჩატარებული სამუშაოების წინასწარულ ანგარიშს და ექსპედიციის სხვა დოკუმენტაციას, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული. ცხადია, ნაშრომი უნაკლო არ იქნება.ავტორთა კოლექტივი ყველა სასარგებლო რჩევას მიიღებს და გამოიყენებს მომავალ მუშაობაში.

1. გულეიკარის დიხაგუძუბას შესწავლა მიმდინარეობდა 2006 წლის 12 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე. საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: ნიკოლოზ ჩუბინიშვილი (ხელმძღვანელი), გელა გობეჯიშვილი (მენეჯერი), გურამ ყიფიანი, დოდო ტურიაშვილი (არქეოლოგი-ბი), ელენორა სახვაძე (მხატვარ-არქიტექტორი).

2. რუკა დაცულია ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში, ხოლო მისი ასლი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტში

თავი I. გულეიკარის ნამოსახლარი

§1. ძეგლის დახასიათება, გათხრების მიმდინარეობა, სტრატეგრაფია

ძეგლი მდებარეობს აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. გულეიკარის სამხრეთ-დასავლეთით 1,5 კმ. მანძილზე, მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე, ნამარნუს ცნობილ ბორცვ-ნამოსახლართა სისტემიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 3,5 კმ-ზე [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2006:59] (ტაბ. I-1, 2; II-1, 2). სამოსახლო ბორცვის სიმაღლე 1,5-1,75 მ-ია, ხოლო რადიუსი მერყეობდა N-S - 45მ და O-W- 47 მ შორის [ჩუბინიშვილი 2006]. გუძუბას ირგვლივ შემოუყვება კარგად გამოკვეთილი სადრენაჟო თუ თავდაცვითი დანიშნულების 6-7 მ-ის სიგანის დაჭაობებული ნაარხალი (თხრილი), რომელიც ამჟამად მიწითაა შევსებული. არხის გარეთ მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოსავლეთი და სამხრეთის მხრიდან კარგად იკვეთება შემადლებული ადგილები, რომლებიც სადაზვერვო თხრილებით არ მოსინჯულა, თუმცა სავარაუდოდ, აქ ადრეანტიკური ხანის დასახლებები უნდა იყოს გამართული. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის დიხა-გუძუბათა სისტემებზე (ფიჩორის ნამოსახლართა კომპლექსი, ჯვარალები, ნაძეფდური, ნაკარლალი და ა.შ) დაკვირება, სადაც ხშირად მთავარი ბორცვის გარშემო განლაგებულ შემადლებულ ტერიტორიაზე უფრო გვიანი ხანის ნამოსახლარებია განფენილი.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში „კოლხიდმშენს“ სადრენაჟო სამუშაოების ჩატარებისას, გადაუსწორებია ბორცვის მიმდებარე ტერიტორია და შეუცვლია პირვანდელი სახე.

გულეიკარის „ნაეკლესიარი“ მიეკუთვნება ხელოვნურად გამართულ დიხა-გუძუბათა ტიპს, რომელთა შორის აგებულების მიხედვით (კულტურულ და მონაზვინ ფენათა ურთიერთმონაცვლეობა), გამოყოფენ რამდენიმე ვარიანტს:

1. კულტურული ფენათა თანდათანობითი დაფენების შედეგად წარმოქმნილი სამოსახლო ბორცვები, რომლებიც ადამიანთა ხანგრძლივი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს ასახავს [Микеладзе 1990:16-17; 1994:67]. ასეთ დიხა-გუძუბათა კატეგორიას მიეკუ-

თენება ქვალონის ნაოხვამუ, ანაკლია I, ნამჭედური, ნოსირი III, ჩოლოქი, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ყულევი და სხვ. [ჯიბლაძე 2007:153; მუსხელიშვილი და სხვ. 2010:7; ჯიბლაძე; პაპუაშვილი 2013: 108-109].

2. ხელოვნურად გამართული ბორცვები, რომლებთაც არავითარი კავშირი არ აქვთ მათ ქვეშ მოქცეულ ნამოსახლარებთან და წარმოქმნილია ნამოსახლარებზე ცხოვრების შეწყვეტის შემდეგ [Микеладзе 1990:17; 1994:67].

პირველ და მეორე ტიპის სამოსახლო ბორცვებზე ხშირად გვხვდება უკულმა (შებრუნებითი) სტრატეგრაფია, როდესაც გვიანი, ძირითადად ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კულტურულ ფენებზე ზემოდან ადრეული ხანის მასალების შემცველი მონაზვინი მიწაა განფენილი [მიქელაძე 1978:46; ბარამიძე 1998:59]. ასეთი მაგალითები კოლხეთის დაბლობის არაერთ ნამოსახლარზე დასტურდება (ანაკლია II, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, პატრიკეთი, სიმაგრე და სხვ) [მიქელაძე 1978: 46-47; Джапаридзе и друг. 1979:299; ჯიბლაძე 1997: 53; მურვანიძე 2006: 37-38; მუსხელიშვილი და სხვ. 2010: 11]³

3. გამოყოფენ კიდევ ერთი ტიპის დიხა-გუძუბებსაც, სადაც საერთოდ არ ჩანს ცხოვრების კვალი (განმუხური I, შეშელეთი, მუხურჯინჯი, რეფის N3, ნყემის N2 და 3 ბორცვები, ლეხაიდრაოს, ჟორჟისა და ესართიების გუძუბები, ჩხარის ტყეში არსებული ბორცვები და ა.შ) [მიქელაძე 1965: 45-51; ჯიბლაძე 1997:30; 2007:153; ბარამიძე 1998:59; პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2005:11-13].

ის ბორცვები, რომლებზეც კულტურული ფენა არ დასტურდება, კონფიგურაციით საერთოდ არ განსხვავდებიან საცხოვრებელი დიხა-გუძუბებისაგან და მათაც გარშემო სადრენაჟო თუ თავდაცვითი დანიშნულების თხრილები შემოუყვებათ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი ნიადაგის გამო, ამ ტიპის გუძუბებს შესაძლოა მხოლოდ სამეურნეო დანიშნულებით,

3. სიმაგრის ნამოსახლარის მაგალითზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოზვივის დროს დიდი რაოდენობით მიწის მოზიდვა შეიძლებოდა ახლო მანძილიდან უძველესი დანგრეული ნამოსახლარიდან [მიქელაძე 1978:46]. ასეთ შემთხვევაში მონაზვინი მიწა შეიცავდა ერთმანეთში არეულ სხვადასხვა პერიოდის მასალას და ამის შედეგად ხდებოდა ადრეული არტეფაქტების მალა, ხოლო გვიანის დაბლა მოქცევა [მიქელაძე 1978:46; მუსხელიშვილი და სხვ. 2010:11].

შერიის, ფეტვის, ხორბლის მოსაყვანად იყენებდნენ. თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ თავის დროზე ეს გუძუბებიც საცხოვრებლად გაემართათ, მაგრამ რალაც მიზეზთა გამო იქ დამკვიდრება ვერ მოეხერხებინათ. ასევე შესაძლოა, რომ დიხა-გუძუბას თხემზე ადრე არსებული თხელი კულტურული ფენა დროთა განმავლობაში გადაირეცხა და მათი კვალი არ შემორჩა [ჯიბლაძე 1997: 30; 2007:80].რამდენად სწორია ეს მოსაზრებები ძნელი სათქმელია, თუმცა ამ ეტაპზე ამ ფაქტს სხვა ახსნას ვერ უძებნით.

ვფიქრობთ, მოცემული კლასიფიკაციის⁴ მიხედვით გულეიკარის ბორცვი უნდა მიეკუთვნოს I ტიპის ნამოსახლარებს, რომლის სხვადასხვა დონეზე დაფიქსირებულ მონაზვინ მინაში დასტურდება გვიანბრინჯაოს ხანის (ძვ.კოლხური I ეტაპი) არქეოლოგიური მასალა.

როგორც აღინიშნა, 2006 წელს გულეიკარის „ნაეკლესიარზე“სტაციონალური გათხრითი სამუშაოების დაწყებამდე, ნავთობსადენისთვის გაჭრილ თხრილში ბორცვის ჩრდილოეთ მონაკვეთში გამოვლინდა არხის ნაწილი. ასევე მისი მიმდებარე ტერიტორიაზე, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 2 მ სიღრმეში აღმოჩნდა, 0,6 მ სიმაღლის, ძვ.წ. VI-V სს-ების კულტურული ფენა [პაპუაშვილი 1999: 99].

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე ძველი დაფარული იყო ხშირი მცენარეული საფარით, რაც ართულებდა მის ვიზუალურ აღქმასა და ზუსტ აზომვას (ტაბ. II-1,2; III-1).გუძუბას ზედაპირზე დიდი რაოდენობით შეინიშნებოდა ბათქაშისა და კერამიკის ფრაგმენტები [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2006:59].

შესასწავლი ფართობი განმენდის შემდეგ დაიყო ოთხ სექტორად. I-II სექტორები მოექცა ბორცვის ჩრდილოეთ, ხოლო III-IV სე-

4. ჯერ კიდევ XX ს-ის 40-იანი წლების შუა ხანებში სხვადასხვა გეოლოგიური და ჰიდროლოგიური აგებულების ძირითადი ნიშნების მიხედვით, რომლებიც ემყარებოდა დიხა-გუძუბათა მდებარეობასა და გრუნტში დაძირულობას (ქვედა კულტურული ფენების განფენილობას მიწის თანამედროვე ზედაპირის დონიდან), კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობათა ოთხი ტიპი გამოყვეს [გრძელიშვილი 1945: 476]. ასევე ბუნებრივი და ხელოვნური სამოსახლო ბორცვები (7 ძველი მოსახლეობა-ჭოგნარი, სანურბლია, ნაოხვამუ, ნაჯიხურო, ცივი, სალორია, დაბლაგომი) გეოლოგიურ-მორფოლოგიური და გრუნტების თავისებურებების გათვალისწინებით, ოთხ ზონაში გააერთიანეს [ხოშტარია 1945:465-473]. უკანასკნელ პერიოდში კი შემუშავდა ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლარების უფრო დეტალური კლასიფიკაცია [ჯიბლაძე; პაპუაშვილი .2013:100-112].

ექტორები კი სამხრეთ მხარეს. ისინი თავის მხრივ დაიყო 2X2 მ-ზე კვადრატებად (ტაბ. IV-B; III-2). გათხრების დასასრულს, ცენტრალური თხრილის საერთო შესწავლილმა ფართობმა 1000 კვ.მ. შეადგინა (ტაბ. IV-A).

თავდაპირველად სამუშაოები წარიმართა I-IV სექტორებში (ტაბ. V-1), სადაც ჰუმუსური ფენის ალების შემდეგ დაახლოებით 20 სმ. სიღრმიდან ჩნდებოდა ბათქაშების, თიხის ჭურჭლისა და დანახშირებული ძელების ფრაგმენტები. III სექტორში ბორცვის ზედაპირთან ახლოს, ძლიერი ხანძრის შედეგად გამოწვეულ შენითლულ იატაკზე გამოვლინდა ერთად თავმოყრილი და ჩალენილი კერამიკა. ამ ფაქტმა გვაფარაუდებინა, რომ აქ კერამიკის გამოსწავლითი ქურა შეიძლება ყოფილიყო (ტაბ. V-2) [ჩუბინიშვილი 2006]. ბორცვის თხემზე დაფიქსირდა მონაზვინი (ნაყარი) მიწა, სადაც დადასტურდა გვიანბრინჯაოს ხანის მასალა, რომელიც შერეული აღმოჩნდა მოგვიანო პერიოდის (ძვ.წ. VIII-VII სს.) თიხის ნაწარმთან. ასეთი რამ სხვადასხვა დონეზე გუძუბას სიღრმეშიც გვხვდებოდა.

IV სექტორში დაახლოებით 0,4-0,6 მ სიღრმეზე გამოვლინდა რიყის ქვების გროვაზე ჩალენილი კერამიკა. ცენტრალური თხრილის I და IV სექტორებში ხშირად იკვეთებოდა ნახშიროვანი ლაქები, რომლებიც დამწვარი ხის ნაგებობათა კონსტრუქციას უნდა უკავშირდებოდეს. I სექტორში გათხრების მსვლელობისას, დანახშირებული ძელებისა და ბათქაშოვანი გროვების სახით, კარგად ჩანდა ზედა ჰორიზონტის ნგრევის კვალი (ტაბ. IX-2,3).

პარალელურად წარიმართა გათხრები III სექტორში, სადაც შესწავლილი იქნა A₁, A-B 3-9 კვადრატები. ამ მონაკვეთში დაახლოებით 0,4-0,5 მ სიღრმეზე გამოვლინდა I სამშენებლო პორიზონტის იატაკის დონე. III სექტორის სამხრეთ მონაკვეთში, დადასტურდა 0,8 მ სიგანისა და 0,2 მ სიმაღლის ნახშიროვანი ფენა, რომელიც ვრცელდებოდა IV სექტორშიც (ტაბ. VIII, X). I-II სექტორშიც აღმოჩნდა ბათქაშების გროვა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ბორცვზე 0,7 მ. სიღრმიდან იწყებოდა წინაანტიკური ხანის მეორე სამშენებლო პორიზონტი (ტაბ. XI-1,2; XIV-სიტუაციური გეგმა და ჭრილი). II სექტორის E და F კვადრატებში თავი იჩინა ნახშიროვანმა და მოყვითალო-მომწვანო თიხნარმა ფენამ, რომელიც ზოგჯერ დამწვარ ხის ფრაგმენტებს, ძელურ ნაგებობათა ნაშთებს შეი-

ცავდა (ტაბ. XVI, გეგმა და ჭრილები - VIII-VIII, IX-IX).

IV სექტორის C, D 3-4-5-6-7-8 კვადრატებში სუბსტრუქციის აღების შემდეგ გამოჩნდა ნახშირის მძლავრი კვალი, რომელიც II სექტორის C კვადრატში ნახსენებ გადამწვარი ხის ფრაგმენტების გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს.

სტრატოგრაფიის დადგენის მიზნით გავლებული იქნა ორი საკონტროლო თხრილი: ერთ-ერთი გადიოდა ჩრდილო-სამხრეთი უღლის გასწვრივ (ტაბ. XII, XIV, XV-1), რომელმაც ცხადყო ძეგლზე ორი სამშენებლო ჰორიზონტის არსებობა. მათ შორის განფენილი იყო ბათქაშის, ნახშირის ფრაგმენტებისა და მოზვიანული თიხნარისაგან შემდგარი 0,6-0,7 მ მიმძლავრის შრეები. ქვედა ფენა, მონაცრისფრო თიხნარი (I სამშენებლო ჰორიზონტი) მდებარეობდა უშუალოდ დედაქანზე. აქვე C-3 კვადრატში დაფიქსირდა ვერტიკალურად ჩადგმული დაუმწვარი ხის ძელი. სწორედ ასეთი ძელების მქონე კონსტრუქციაზე უნდა ყოფილიყო გამართული I სამშენებლო ჰორიზონტი, რომელიც 0 წერტილიდან დაახლოებით 2,5 მ-ის სიღრმეზე იყო განფენილი (ტაბ. XIV, XVI, ჭრილი: VIII-VIII, IX-IX).

ყველაზე მეტი ინფორმაციის მომცემი აღმოჩნდა მე-3 რიგში, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით გავლებული საკონტროლო თხრილი, რომელმაც მოიცვა K-C კვადრატები. მინის დაღრმავებისას E, F, G მე-3 რიგის კვადრატებში, დაახლოებით 0,5-0,6 მ სიღრმეზე მოყვითალო-მომწვანო თიხნარში, აქა-იქ ჩნდებოდა რიყის ქვები (ტაბ. XIV; XVII-1; XVIII-ჭრილი-XI-XI). დაახლოებით 1,15 მ სიღრმეზე სხვადასხვა ზომის ჰორიზონტალურად განლაგებული ასეთივე ქვები დაფიქსირდა. ზოგიერთ ადგილას ის გროვების შთაბეჭდილებას ტოვებდა და მისი ძირი 2 მ. სიღრმემდე ჩადიოდა. რიყის ქვები დაფარული იყო მონაზვინი, სტერილური მიწით, რომლის თავზე ნახშიროვანი შრეები გადადიოდა. მათი ალაგების შემდეგ კვლავ გამოიკვეთა ნაცროვანი ფენა, რომელსაც ნახევარ-რკალისებური ფორმა ჰქონდა და სისქე 0,5-0,6 მ.-ს არ აღემატებოდა (ტაბ. XVI, ჭრილი: VIII-VIII, IX-IX). მის ქვეშ კვლავ მოზვიანული ფენა დაფიქსირდა, რომლის ალებისას ისევ დადასტურდა რიყის ქვებით შევსებული მონაკვეთი. მონაზვინ ფენაში და მის ქვემოთ განფენილ რიყის ქვებზე გვხვდებოდა კერამიკის ფრაგმენტები, რომელიც ქვედა დონეზე, 2,30 მ სიღრმეში *insitu* მდგომარეობაშიც ჩნდებოდა. საინტერესოა, რომ აქ, ზოგიერთ ადგილას მონაზვინი ფენები და

ნაცროვანი შრეები ურთიერთმონაცვლეობდენ და ებჯინებოდენ მათ ქვეშ განლაგებულ რიყის ქვებს. ცხოველის ძვლები იშვიათად დასტურდებოდა.

მიწის სიღრმეში დაღრმავებისას რიყის ქვების ქვეშ გამოიკვეთა თხრილის (არხის) კვალი (ტაბXVI-ჭრილი VIII-VIII). იგი შევსებული აღმოჩნდა შედარებით მუქი მოყვითალო-მომწვანო ფერის თიხნარით, რომელშიც დაფიქსირდა კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი. თხრილში გრუნტული წყლების მომძლავრების გამო, რომლის ამოტუმბვა შეუძლებელი აღმოჩნდა, დაღრმავება ვერ მოხერხდა. ამავე მიზეზით გარკვეულ სიღრმეზე დადაბლების შემდეგ დაღრმავება შეუძლებელი შეიქნა L-M და P-R კვადრატებშიც. 60-70 სმ. სიღრმიდან იწყებოდა მოყვითალო-მომწვანო თიხნარი მიწა, მის შემდეგ კი მონაცრისფრო სტერილური თიხნარი (დედაქანი?). ძნელი სათქმელია, როდის იქნა მოზინული მოყვითალო-მომწვანო ფენა. ერთი კი აშკარაა, რომ ამ შურფებში კულტურული ფენები არ დადასტურდა.

ამრიგად, გულეიკარის ნამოსახლარზე შემდეგი სტრატოგრაფიული სურათი და ქრონოლოგიური პერიოდები დადასტურდა: 1. ჰუმუსური ფენა; 2. გვიანბრინჯაოს ხანა (ძვ.კოლხური I ეტაპი), ძირითადად კერამიკული მასალებით, წარმოდგენილი იყო ბორცვის თხემზე და სხვადასხვა სიღრმეში-მონაზვინ ნაყარ მიწაში. აქ უფრო ადრეული ნაოხვამუს ქვედა და შუა ფენებისთვის დამახასიათებელი კერამიკული მასალა, ერთ დონეზე შერეული სახით გვხვდებოდა უფრო მოგვიანო პერიოდის, წინაანტიკური ხანის თიხის ნაწარმთან. ვფიქრობთ, ამ ფაქტს შესაძლოა მოეძებნოს ორგვარი ახსნა: 1. როგორც ჩანს, ძეგლზე ძვ.კოლხური I ეტაპის მასალები მოხვდა უფრო მოგვიანო პერიოდის მცხოვრებთა მიერ დასახლების პერიოდულად განახლებისას. კერძოდ, საცხოვრებელი ნაგებობის გასამართავად საჭირო მიწის მოზინისას და მისი ნიველირების დროს. საინტერესოა, საიდან მოქონდათ გუძუბას მობინადრეებს მოსაზვინად საჭირო მიწა: სავარაუდოდ იქვე ახლოს მდებარე დანგრეული, მიტოვებული ნამოსახლარიდან, თუ გულეიკარის ბორცვის სულ ქვედა დონეზე, რომლის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთი გაითხარა, არსებობდა უფრო ადრეული გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა და მას იყენებდენ მოსა-

ზვინად⁵; 2ამ ვერსიასთან ერთად არ გამოვრიცხავთ, რომ წინაანტიკურ ხანაში აქ სახლდებიან უფრო ადრეულ მიტოვებულ სამოსახლოზე. შემდგომში კი სინესტისგან თავის დაცვის მიზნით ბორცვს დროდადრო ამაღლებენ და ნაგებობებს ანახლებენ. ამისათვის კი შორს არ მიდიან და მოსაზვინად საჭირო მინას იქვე, გუძუბას პერიფერიულ ნაწილში პერიოდულად ჭრიდნენ. ისე, რომ ამ ფაქტმა მათი საცხოვრებელი პირობების უფრო გაუარესება და მეტი ნესტიანობა არ გამოიწვიოს. ამ ვარუდის გამოთქმისას გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ბორცვის მხოლოდ მცირე მონაკვეთია შესწავლილი და ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

ვფიქრობთ, იმდროინდელი სატრანსპორტო საშუალებების გათვალისწინებით, გულეიკარის მკვიდრთათვის უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო ბორცვზე მიწის მოჭრა⁶ და მოსაზვინად მისი გამოყენება.

3.ადრეანტიკური პერიოდი საკუთრივ გულეიკარის ნამოსახლარზე არ გამოვლენილა. როგორც აღინიშნა, ამ ხანის ნამოსახლოს ნაშთები აღმოჩნდა ბორცვის ჩრდილოეთით, ძირითადად ადგილობრივი და ბერძნული კერამიკული ნაწარმის შემცველი კულტურული ფენის სახით .

4. წინაანტიკური ხანის (ძვ.წ.VIII-VII სს-ების) კულტურული ფენა წარმოდგენილი იყო ორი სამშენებლო ჰორიზონტით, რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნული იყო მოყვითალო ფერის სტერილური ფენით და შიგადაშიგ მასალის შემცველი მონაზვინი ნაყარი მიწით [ჩუბინიშვილი 2006].

როგორც ვხედავთ, გულეიკარის ნამოსახლარზე წინაანტიკური ხანის შემდგომ პერიოდში ცხოვრება წყდება და სამოსახლოები ჩნდება მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ანალოგიური სიტუაცია ფიქსირდება კოლხეთის დაბლობის მთელ რიგ გუძუბებზე, სადაც რიგ შემთხვევაში ელინისტური ხანის შემდგომ პერიოდში ცხოვრება არ

5. თითქოსდა ამის გარკვეულ საფუძველს უნდა გვაძლევდეს გუძუბას სულ ქვედა ჰორიზონტზე გამოვლენილი ძვ.კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი დეკორით შემკული კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი

6. საგულისხმოა, რომ მოსაზვინად საჭირო მინას ჭრიდნენ ნაწვეტებული ბრინჯაოს თოხების მეშვეობით. კოლხეთის ტერიტორიაზე ბრინჯაო-ადრეკინის ხანაში ბარის ტიპის სამუშაო იარაღი არ არის ცნობილი.

შეინიშნება.⁷

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე არაერთი მოსაზრება გამოითქვა.⁸ მათგან ყველაზე მეტად დამკვიდრებულია კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში, ბრინჯაო-ადრერკინასა და ელინისტურ ხანაში ხელოვნურ ბორცვებზე ცხოვრების შეწყვეტის დაკავშირება თანამედროვე გეოლოგიურ ეპოქაში, პოლოცენში მიმდინარე ახალშავზღვიურ ტრანსგრესიასთან და ფანაგორიულ რეგრესიასთან [Джанелидзе 1980; Хахутаიшвили 1984: 146-151; პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ს. 2014]. თვლიან, რომ წყლის შემოტევის შედეგად მოსახლეობა ტოვებს დასახლებულ ტერიტორიას და საცხოვრებლად სიღრმეში ინაცვლებს [ბარამიძე 1998:4]. არ ვიცით ამ მოსაზრების განვრცობა როგორ გამოდგება ნამარნუს ნამოსახლართა სისტემასთან მიმართებაში, სადაც ინტენსიური ცხოვრების კვალი კლასიკურ ხანაშიც დასტურდება.

საკონტროლო თხრილში ბორცვის ზედაპირიდან 2,50 მ სიღრმეზე აღმოსავლეთიდან-ჩრდილოეთის მიმართულებით გამოიკვეთა ბორცვის პირველი მაცხოვრებლების მიერ გავლებული 4-4,5 მ სიგანისა და დაახლოვებით 1,2 მ სიღრმის არხის კონტურები, რომლის ძირი 0 ნერტილიდან 2,90 მ სიღრმემდე ვრცელდებოდა. პირვანდელი დასახლების საერთო ფართობი დაახლოვებით 20 კვ.მ-ია, რომელსაც, როგორც ჩანს, არხი ჰქონდა შემოვლებული და მორუხო მიწის მასით იყო შევსებული. აქ მრავლად აღმოჩნდა კერამიკა და ძვლოვანი მასალა. სავარაუდოდ, მეორე სამშენებლო ჰორიზონტის გამართვის პერიოდში (სტრატეგრაფიას ვგულისხმობთ ქვემოდან ზემოთ), თავდაცვითი და სადრენაჟო არხი, რომელიც პირველი სამოსახლოს ბინადართა მიერ იყო გავლებული, მოგვიანებით მოყვითალო თიხნარი მიწითა და მათზე დალაგებული რიყის ქვებით შეივსო [ჩუბინიშვილი 2006].

გულეიკარის ნამოსახლარზე, რომლის სიმაღლე მის ირგვლივ განფენილი ტერიტორიიდან 1,75 მ აღწევდა, კერამიკული მასალის შემცველი კულტურული ფენა ვრცელდებოდა ბორცვის ზედაპირი-

7. სხვა სურათი ჩანს ცვანას დიხა გუძუბაზე, სადაც გამოვლინდა მძლავრი ელინისტური ხანის კულტურული ფენა [პაპუაშვილი 2018: 59-63].

8. ამ საკითხზე გამოთქმულ სხვადასხვა მოსაზრებებზე დანვრილებით იხილეთ [ხომტარია 1944: 208-209; ლომოური 1968:46; ბარამიძე 1998:4; პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ს. 2005:9; მუსხელიშვილი და სხვ. 2010:215]

დან 2,5 მ-ის სიღრმეზე. ზოგიერთ შემთხვევაში თიხის ნაწარმი 2,9 მ სიღრმეშიც გამოვლინდა, რომელიც მის ზემოთ მდებარე კულტურული ფენიდან შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი. როგორც ვხედავთ, ბორცვის თავდაპირველი სიმაღლე მიწის სიღრმეში არსებული კულტურული ფენის ჩათვლით, უნდა ჭარბობდეს გათხრების დასაწყისში დაფიქსირებულ ამ მონაცემებს. ასეთ შემთხვევაში უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გულიეკარის ბორცვი თავდაპირველად უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო (ვგულისხმობთ ცხოვრების შეწყვეტის შემდგომ უახლეს ხანას). შემდეგ კი კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი და არამყარი ნიადაგის გამო, ადგილი უნდა ჰქონოდა მიწის სიღრმეში ბორცვის თანდათანობით ჩანევას.

როგორც ჩანს, დიხაგუძუბას პირველი მაცხოვრებლები სამოსახლოს თავდაპირველად შედარებით შემალღებულ ადგილზე მართავენ. შემდეგ კი ხდება მოჭრილი მიწის დაზვინვა, რომლის ზემოთ განფენილ მონაცრისფრო თიხნარ ნიადაგში (სადაც კულტურული ნაშთები არ გვხვდება), დასტურდება დაუმწვარი ძელები. ეს ფაქტი გვაპარუდინებს, რომ ყოველივე ეს საცხოვრებელი ადგილის მომზადებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მის ზემოთ კი, 0 ნერტილიდან 2,5 მ სიღრმეში, სპეციალურად შექმნილ ძელებიან მოზვინულ და მოტყეპნილ ბაქანზე გამართული უნდა ყოფილიყო I სამშენებლო ჰორიზონტი. შემდეგ კი იწყებოდა მონაცრისფრო-მორუხო თიხნარი (ლეკი) მიწა, რომელიც კოლხეთის დაბლობის ნიადაგისათვის გრუნტს წარმოადგენს.

საინტერესოა რა სოციალური ერთობის საკუთრებას წარმოადგენდა გულიეკარის ბორცვ-ნამოსახლარი და აქ გამოვლენილი ნაგებობათა ნაშთები. კოლხეთის დაბლობის ზოგიერთი ნამოსახლარის მაგალითზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლარები იყო დიდი თუ მომცრო ოჯახის საკუთრება [Куфтин 1950:172-173; ინაძე 1994:22]. მიდიან იმ დასკვნამდეც, რომ ასეთი ტიპის სამოსახლო დიხაგუძუბები ხუტორული (სოფლური) ხასათის მატარებელი უნდა ყოფილიყო [გრიგოლია 1971:20; ჯაფარიძე 1982:89; ხახუტაიშვილი ნ. 1986:96; ფხაკაძე 1993:120; ლორთქიფანიძე 2002: 126]. ასევე მიანიათ, რომ ყოველი დიხა-გუძუბა წარმოადგენდა ერთი ოჯახის კარგად გამაგრებულ სამოსახლოს [ჩიქოვანი 2000:48]. ზოგიერთი

მოსაზრების თანახმად კი, ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში გამართული დიხა-გუძუბა მის გარშემო არსებული თხრილით, ძირითადი და დამხმარე ნაგებობებით მხოლოდ ერთი ოჯახის სახოვრებელი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ უფრო მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული შენობა-ნაგებობათა კომპლექსი [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ.2005:22; მუსხელიშვილი და სხვ. 2010:16]. არ გამოორიცხავენ იმასაც, რომ სტიქიური უბედურებისა და საშიშროების დროს ხელოვნურად გამართული სამოსახლო ბორცვები, ახლომდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები თემისა თუ გვარისათვის ერთგვარი გამაგრებული თავშესაფარი იყო [Микеладзе; Хахутаишвили 1985:9]. მოყვანილი პარალელებისა და სხვა ნამოსახლარებზე არსებული მონაცემების გათვალისწინებით, ჩვენც მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ გულეიკარის წინაანტიკური ხანის სამოსახლო ბორცვი შეიძლება ყოფილიყო ნათესაურ კავშირზე დაფუძნებული თემის ან ერთი ოჯახის საცხოვრებელი. ეს არ არის განცალკევებით არსებული ბორცვ-ნამოსახლარი. მის ჩრდილოეთ ნაწილში გამოვლენილი საკმაოდ მძლავრი ადრეანტიკური ხანის დასახლებაც დიდი ალბათობით ამ ნამოსახლართა სისტემაში უნდა შედიოდეს. შესაძლოა გულეიკარის „ნაეკლესიარი“ მის ირგლივ განლაგებული ადრეანტიკური ხანის სამოსახლოებისათვის ცენტრალური ბორცვი ყოფილიყო, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ადრე გამოთქმულ ვარაუდს, რომ კოლხეთის დაბლობზე ცენტრალური ბორცვის გარშემო განლაგებული კომპლექსები გარკვეულ სოციალურ დიფერენციას და დანიშნულებული გვარის დანარჩენთაგან გამოყოფის ტენდენციას ასახავს [ლორთქიფანიძე 1986: 66].

სავარაუდოდ გულეიკარის წინა და ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი არ იყო იზოლირებული პუნქტი და იქვე ახლოს მდებარე სამოსახლოებთან გარკვეული კონტაქტები უნდა ჰქონოდა. იქნებ ეს ძეგლი აღნიშნულ პერიოდებში ნამარნუს ნამოსახლართა კომპლექსშიც შედიოდა. ხოლო თავად ნამარნუ წინაანტიკურ და ადრეანტიკურ ხანაში წარმოადგენდა ერთგვარ პოლიტიკურ ცენტრს, რომლის გავლენის ქვეშ მოქცეული იყო მდ. ფიჩორის შუა წელისა და მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული გულეიკარის

მსგავსი ბორცვ-ნამოსახლარები⁹. ეს ის პერიოდია, როდესაც კოლხეთის დაბლობზე მოსახლეობის გამრავლების შედეგად იზრდება ნამოსახლართა მასშტაბები, ხდება მაღალი ბორცვის მიმდებარე ტერიტორიების სამოსახლოდ ათვისება. ვფიქრობთ, გულეიკარის „ნაეკლესიარზე“ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სწორედ ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე. ძნელი სათქმელია შემდგომში რა პროცესებმა განაპირობეს ამ ძეგლზე ცხოვრების შეწყვეტა და მისი მიმდებარე ტერიტორიების სამოსახლოდ ათვისება. შესაძლოა ეს მოსახლეობის გამრავლების გამო მოხდა ან იქნებ ბორცვმა საკულტო-რელიგიური და თავდაცვითი ფუნქცია შეიძინა [აფაქიძე 2001:136; ჯიბლაძე; პაპუაშვილი 2007:117].

სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთის დაბლობის ზოგიერთი ნამოსახლარის მაგალითზე ვარაუდობენ, რომ ამ რეგიონში ადრერკინის ხანაში ჩნდება თვისობრივად ახალი, დაბური ტიპის დასახლებები თავისი უზნებითა და სახელოსნოებით [ხახუტაიშვილი ნ 1986:96]. ეს მოდელი მისაღებია მდ. ფიჩორისა და მდ.რიონის შუა წელზე მდებარე სოფ. გულეიკარსა და სოფ. კეთილარის მიდამოებში გამოვლენილ გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და კლასიკური ხანის ნამოსახლარებთან მიმართებაში (ნამარნუს „შუამაღალა“; ჩრდილოეთი და სამხრეთი ბორცვები; გულეიკარის „ნაეკლესიარი“ და ნაოხვამუ; სოფ. კეთილარის სასაფლაო და „ნაეკლესიარი;“ ანჯერი I; ანჯერი II)[პაპუაშვილი რ;პაპუაშვილი ნ. 2006: ტაბ. XXII] (ტაბ. II). ჩვენი აზრით, ამ დასახლებათა ცენტრი გარკვეულ პერიოდში ნამარნუ („შუამაღალა“) უნდა ყოფილიყო.

ძვ.წ VIII-VII სს.-ებში, შუა და გვიანბრინჯაოს ხანასთან შედარებით, კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე მრავლდება სამოსახლო ბორცვები, იზრდება მათი ფართობები, იხვეწება ხელოვნურ

9. მდ. ფიჩორის მარჯვენა სანაპიროზე და მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე განლაგებულია ძვ.წ. II-I ათასწლეულების მთელი რიგი ნამოსახლარები: მათ შორის გამოირჩევა ნამარნუ („შუამაღალა“), რომელიც მიკვლეული იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია), სადაც 1971 წელს გაივლო საცდელი თხრილები და გამოიყო 7 კულტურული ფენა [გრიგოლია და სხვ. 1972:30; გრიგოლია 1973:50-58]. ამ ძეგლს 1980-1984, 1986-1987 წწ სწავლობდა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმ.თ.მიქელაძე) [Микеладзе и друг.1982: 34;1987:39;1991: 59; პაპუაშვილი რ;პაპუაშვილი ნ. 2001:108]. გამოიყო ხუთი კულტურული ფენა, რომელიც მოიცავდა ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს-ადრერკინისტიანული ხანის ჩათვლით [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2006:46-57].

გამაგრებათა სისტემები.ყოველივე ეს კი უნდა გვაძლევდეს იმის საფუძველს, რომ ეს პერიოდი კოლხური პროტოურბანული ცივილიზაციის ხანად მივიჩნიოთ.

ადრეანტიკურ ხანაში, სხვა ტიპის დასახლებებთან ერთად, სწორედ დიხა-გუძუბათა მსხვილ გაერთიანებებს (ჩოლოქი, ნამჭედური, ფიჭვნარი, ფიჩორის ნამოსახლართა სისტემა, ნამარნუ, ცვანე, ერგეტის ტერიტორიაზე კონცენტრირებული სამოსახლო ბორცვები, ქვალონის ნაოხვამუ და სხვ.) უნდა შეემზადებინა ნიადაგი კოლხეთში სახელმწიფოს წარმოქმნისათვის [მუსხელიშვილი და სხვ. 2010:17].

§2. ძელურ ნაგებობათა ნაშთები

გულეიკარის ნამოსახლარის თითქმის ყველა დონეზე გვხვდება დანახშირებული ძელების ფრაგმენტები, ნახშიროვანი ლაქები და მათში არეული და ზემოდან დაფენილი ბათქაშები. ზოგჯერ მათთან ერთად, ერთ დონეზე გვხვდება სხვადასხვა ზომის რიყის ქვები. ხშირად დასტურდებოდა ნახშიროვან შრეებში არეული მომწვანო-მოყვითალო ფერის მონაზვინი მინა, რომელიც ახალ ნაგებობათა გამართვის, ან მისი განახლების პროცესებს უნდა უკავშირდებოდეს. ამისათვის ხდებოდა სპეციალურად მოჭრილი მინის მოსწორება, იქმნებოდა შემალლებული ბაქანი, რომელზეც ახალი შენობა იმართებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ნახშიროვანი ლაქებით გარკვეული კონტურები იკვეთება, შენობათა ზომებზე, ფორმაზე და სხვა დეტალებზე საუბარი ძნელია. თუმცა ეს მონაცემები არასრულ, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას მაინც გვიქმნის გულეიკარის „ნაეკლესიარზე“ არსებულ ნაგებობათა ტიპებსა და სამშენებლო ტექნიკის შესახებ.

კოლხეთის დაბლობის სხვა ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების მსგავსად აქაც გავრცელებული უნდა ყოფილიყო უფრო მსუბუქი¹⁰ კონსტრუქციის მქონე ჯარგვლური ტიპის ძელური ნაგებობები, რომელთა კედლებიც როგორც შიდა, ასევე გარე მხრიდან სითბოს უკეთ შენარჩუნების მიზნით თიხით ილესებოდა. ეს თიხა კი ხანძრის შედეგად მკვრივ ბათქაშად გადაიქცეოდა. გულეიკარის ნამოსახლარზე ჯარგვლური ტიპის ნაგებობასთან ერთად, ბათქაშების ფრაგმენტებზე შემორჩენილი ხის ტოტების ნნულის ანაბეჭდების მიხედვით, დასაშვებად მიგვაჩნია ორივე მხრიდან თიხით შელესილი, ნნულკედლიანი, წრიული ფორმის, ფაცხის მაგვარი შენობების არსებობაც. ორივე ტიპის ნაგებობები დასტურდება საქართველოს, კონკრეტულად კი კოლხეთის ეთნოგრაფიულ

10. გვხვდება უფრო რთული ჯარგვლური ტიპის შენობები, რომელთა ასაგებად სპეციალურად იქმნებოდა ძელურ ნაგებობათა საფენები და მონაზვინი, თიხნარი მინის რამდენიმე ფენა, რაც გამონვეული უნდა ყოფილიყო უფრო ჭაობიანი ნოტიო ნიადაგის გამო (სიმაგრე, ანაკლია II, ჭალადიდის ზურგა, ყულევი, ალბათ ცივას ნამოსახლარი). ამასთან ერთად დასტურდება უფრო მარტივად გამართული ჯარგვლური ტიპის შენობები, რომლებიც შედარებით მშრალი კლიმატური პირობების გათვალისწინებით იგებოდა [ჯიბლაძე 2007:36].

ყოფაში [ადამია 1979:27-50; ჩიქოვანი 1999:211-222]¹¹.

კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვა ნამოსახლარების მსგავსად გულეიკარის გუძუბაზეც ხდებოდა სამშენებლო საქმეში რიყის ქვების გამოყენება. როგორც ჩანს, სიმშრალის შენარჩუნებისა და სისუფთავის დაცვის მიზნით, მათ შენობათა ნესტიან იატაკზე აგებდნენ. წვრილი რიყის კენჭებითა და ქვარგალებით იატაკების მოკირნვლა ხშირად დასტურდება კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე (ოჩამჩირე, ფიჩორი IV-V ფენა, ნამჭედური-Vფენა, ნოსირი III (I ფენა), კისტრიკი, მოქვი, აბაჟუ, მახვილაური და სხვ.) [ჯიბლაძე 2007:38-39; კახიძე ა; სურმანიძე ნ 2018: 173]. კოლხურ ნასახლარებზე ზოგჯერ მინაზე დაგებული ხის ფიცრების იატაკიც დასტურდება, [მუსხელიშვილი და სხვ. 2010: ტაბ.14-2; 15-1,16-3]. ნამჭედურის ნამოსახლარის მაგალითზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ რიყის ქვებით იატაკის მოკირნლა (ნაცვლად ხის იატაკის დაგებისა) გამონვეული უნდა ყოფილიყო არა ახალი ტრადიციის შემოღებით, არამედ ნასახლარის ზღვის სანაპიროსთან სიახლოვით [Микеладзе 1990:35].

როგორც აღვნიშნეთ, გულეიკარის ნასახლარზე, გარკვეულ ადგილებში გვხვდება მდინარისეული წარმოშობის სხვადასხვა ზომის რიყის ქვის გროვები, რომლებიც იატაკის მოპირკეთების გარდა, ალბათ მონაზვინი მიწის გასამაგრებლადაც გამოიყენებოდა. როგორც ჩანს, ქვებს ერთ დონეზე, ჰორიზონტალურად აწყობდნენ, შემდეგ კი მათზე მიწას აყრიდნენ და ტკეპნიდნენ. ეს იმისათვის კეთდებოდა, რომ კოლხეთის დაბლობის არამყარი ნიადაგის გამო ჯერ მოზვინულ და შემდგომ მოტკეპნილ მიწაზე გამართულ ჯარგვლებს დეფორმაცია არ განეცადათ. ზოგ ნამოსახლარზე, სადაც უფრო ჭაობიანი ნიადაგი იყო, ამ მიზნით ძელების მძლავრი ფენილები გამოიყენებოდა (ანაკლია II, ყულევი). ასეთი რამ კოლხეთის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც ხშირად დასტურდება.

გულეიკარის ნამოსახლარის სულ ქვედა დონეზე გამოვლინდა

11. კოლხური ჯარგვლური შენობების გავრცელების არეალები, მათი რეკონსტრუქცია-აღდგენის ცდა, შედარება გარე სამყაროსა და საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილ ხის ნაგებობებთან მოცემული აქვს არაერთ მკვლევარს: ა. ჯოკონდი, ო. შუაზი, დ. მშვენიერაძე, ჩეზარე-ჩეზარინიო, კარლო ამატი, თ. ჩიქოვანი, ლ. სუმბაძე, გ. ყიფიანი, გ. ლეჟავა გ. გაგოშიძე, ჯ. აფაქიძე და სხვ. ამ საკითხებზე არსებული ლიტერატურა დეტალურად იხილეთ [ჯიბლაძე 2010:117-124].

მინაში ვერტიკალურად ჩადგმული დაუმწვარი ძელი. ასეთი დეტალის აღმოჩენა დიდი ალბათობით მოსალოდნელია გუძუბას სხვა, შეუსწავლელ ფართობზეც. ანალოგიური ფაქტები კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის თითქმის ყველა ნასახლარის ქვედა ფენებში დასტურდება, განსაკუთრებით ჭაობიანი ადგილებში გათხრილ ძეგლებზე (ნაოხვამუ, ოჩამჩირე, ფიჩორი, ჩოლოქისპირა ბორცვი, ანაკლია I, ანაკლია II, „ტაბაკონი“ და სხვ.) [ჯიბლაძე 2007:36; აფაქიძე; ჭაბაშვილი 2018:278]. მკვლევართა ნაწილს უჭირს ვერტიკალურად ჩასმული სარების (ძელების) ფუნქციის დადგენა [Куртин 1950:77; Микеладзе 1990:17], ანდა ზღვისპირა ზოლის ნამოსახლარების მაგალითზე (ისპანი) მათ ხიმინჯებად მიიჩნევენ [ინაიშვილი 1977:77; ხახუტაიშვილი 1995:39].

გულიეკარის „ნაეკლესიარზე“ ვერტიკალურად ჩადგმული ძელები იშვიათად დასტურდება. მიუხედავად ამისა, კოლხეთის სინქრონული ნამოსახლარების მონაცემების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ აქაც მათ იატაკზე დალაგებული ძელებისა და შენობათა კედლების გასამაგრებლად იყებებდნენ. ასეთი ფაქტები დადასტურდა ერგეტისა (IV ფენა) და ფიჩორის (ცენტრალური ბორცვი VIII-VII ფენა) ნამოსახლარებზე [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2005: 19; ჯიბლაძე 2007: ტაბ. VIII-2]. ამიტომ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ აქაც ჯარგვლური ტიპის შენობები ხიმინჯებზე ყოფილიყო შემდგარი. შესაძლოა ამ მოსაზრებას უფრო მეტ დამაჯერლობას სძენდეს ნაოხვამუს ნამოსახლარის ადრე-რკინის ხანის ფენაში აღმოჩენილი სახლის თიხის მოდელი, რომელიც რვა ხიმინჯზეა შემდგარი. ეს არტეფაქტი უნდა ასახავდეს ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს, კოლხეთის დაბლობზე გავრცელებულ ბათქაშით შელესილ ხის ნაგებობათა ერთ-ერთ სავარაუდო ტიპს, რომელიც ჯარგვლური და ფაცხისმაგვარი შენობებისგან რამდენადემე განსხვავებული კონსტრუქციის უნდა ყოფილიყო [ჯიბლაძე 2010:117-1214, ტაბ. I-II]¹².

12. ნაოხვამუს სახლის თიხის მოდელი 1940 წ. გ. ნიორაძის მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა, მაგრამ მასალების დამუშავება ომის დაწყების გამო როგორც მაშინ და ვერც მომდევნო წლებში ვერ მოხერხდა. ნაოხვამუს თიხის მოდელის არსებობა ცნობილი გახდა მხოლოდ ეროვნული მუზეუმის სამთავრო-თრიალეთის ფონდებში შემავალი დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების მასალების დამუშავებისას.

გულიეკარის ნამოსახლარზე კულტურულ ფენაში იგრძნობა ძლიერი ნახანძრალის კვალი, რასაც ადასტურებს დანახშირებული ძელები, ბათქაშის გროვები, მონითალო იატაკები და წვის შედეგად დეფორმირებული კერამიკა. გამოითქვა მოსაზრება (ე. გოგაძე)¹³, რომ კოლხეთის დაბლობზე, ხის ნაგებობებს განახლების ნაცვლად სპეციალურად წვავდენ და ახალ შენობებს აგებდენ. ხშირად შემორჩენილია ჯარგვლურ ნაგებობათა დაუმწვარი ძელების ქვედა ნაწილი, ანუ „საძირკველი“ (თიხნარი, ბაქნის გამაგრებასთან დაკავშირებული ძელები) [მუსხელიშვილი და სხვ. 2010:23]. ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში შენობის ნაწილი დაინვა, ან გადატანილი იქნა სხვა ადგილზე, როგორც ეს დასავლეთ საქართველოში არცთუ შორეულ წარსულშიც კეთებოდა [Микеладзе 1990:17-18;1994:67].

კოლხეთში ნახანძრალი-გადამწვარი ფენები უფრო წინანტიკური ხანის ნამოსახლარებზე შეინიშნება (ძვ.წ. X-VIII სს-ები). ეს კი ალბათ გამონვეული უნდა ყოფილიყო ქონების დატაცების მიზნით, მეზობლად მცხოვრები ხალხის ერთმანეთზე ხშირი თავდასხმებით, რასაც ალბათ თან სდევდა ხანძრის გაჩენა და ნაგებობათა გადწვაც. ასეთი ახსნა უფრო ლოგიკური გვეჩვენება, ვიდრე ნაგებობათა სპეციალურად გადწვაც მათი განახლების მიზნით. ეს ის პერიოდია, როდესაც კოლხეთში მოსახლეობა მრავლდება, იზრდება ბრინჯაოს საბრძოლო იარაღის რაოდენობაც, რაც ნათლად ჩანს კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნებზე აღმოჩენილი მასალით. ეს იარაღები დიხა-გუძუბათა მცხოვრებლებს ალბათ ერთმანეთზე თავდასხმებისათვის, ანდა თავის დასაცავად სჭირდებოდათ.

სამწუხაროდ, გულიეკარის ნამოსახლარის სამშენებლო ტექნიკის შესახებ, უფრო მეტი ხელჩასაჭიდი ფაქტები არ მოგვეპოვება და იძულებული ვართ მხოლოდ ამ მონაცემებით შემოვიფარგლოთ.

13. ეს მოსაზრება არქეოლოგმა ელგუჯა გოგაძემ ჩვენთან პირად საუბარში გამოთქვა.

თავი II.

გულეიკარის ნამოსახლარის მონაპოვარი მასალა:

§3. კერამიკა

გულეიკარის მონაპოვარ მასალათა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დანიშნულების თიხის ჭურჭელი, რომელიც იმდენად ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, რომ ძნელდება ცალკეული ჯგუფების გამოყოფა. მიუხედავად ამისა, პროფილირებული ნიმუშების, ძირითადად პირ-ყელის ფრაგმენტების მიხედვით, მეტნაკლებად მაინც ხერხდება გაიმიჯნოს ცალკეული სახეობა. ჭარბობს სამზარეულო დანიშნულებისა და სუფრის საშუალო ზომის თიხის ჭურჭელი, თუმცა გვხვდება ამავე კატეგორიის შედარებით დიდი და მცირე ზომის ჭურჭელიც. სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ნაწარმი (დერგები, ქვევრები) კი შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი.

ვიდრე სხვა საკითხებზე გადავიდოდეთ, საჭიროდ ჩავთვალეთ, მოკლედ და ზოგადად დავახასითოთ ყველა ჯგუფის თიხის ნაწარმის ფაქტურა. გვხვდება მოშავო-მონაცრისფრო, შავი, ნაცრისფერი, მოყავისფრო, მოჩალისფრო-აგურისფერი, ვარდისფერზედაპირიანი და ხშირ შემთხვევაში ასეთივე შიდაპირიანი კერამიკა. უპირატესად გამოიყოფა საშუალო ზომის, თხელი და სქელკეციანი ერთფენიანი თიხის ჭურჭელი, კეცში ქარსისა და ხვინჭის ჩანართებით. დასტურდება ორფენიანი თიხის ნიმუშებიც. კერამიკას ზედაპირზე და შიდაპირზე ხშირად ეტყობა კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ნაწარმისათვის დამახასიათებელი ქარსის ჩანართები. ზოგჯერ ჭურჭელის ზედაპირი ხაოიანია. შეინიშნება კერამიკის ცეცხლში მეორადი მოხვედრის კვალიც, რის გამოც კეცი დეფორმირებულია. ზოგი ჭურჭლის ზედაპირი როგორც ჩანს, გამონვამდე ნაფოტისმაგვარი ნივთით მოუსწორებიათ, რასაც უნდა ადასტურებდეს შემორჩენილი უსწორმასწორო ხაზები. გვხვდება როგორც ხელით ნაძერნი, ისე ჩარხზე დამზადებული კერამიკა, თუმცა პირველი ბევრად ჭარბობს უკანასკნელს.

ტიპოლოგიური-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, განსაკუთრებით ორნამენტაციით, გამოიყოფა ქრონოლოგიურად სხვადასხ-

ვა პერიოდის, ძვ. კოლხური I და II ეტაპების კერამიკა.

ძვ. კოლხური I ეტაპის მასალები, როგორც ძეგლის გამთხრელი ნიკოლოზ ჩუბინიშვილი აღნიშნავს, სტრატეგრაფიულად, კულტურულ ფენათა ურთიერთმონაცვლეობით არ იმიჯნება. ისინი აღმოჩენილია ძვ. კოლხური II ეტაპის ჩარხზე დამზადებულ კერამიკასთან ერთად, ძირითადად მონაზვინ, ნაყარ მიწაში. აქიდან გამოდინარე გამოყოფილ თიხის ჭურჭლის ცალკეულ სახეობას განვიხილავთ ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით. პირვერდის ფრაგმენტებით პირობითად გამოვყოფთ საშუალო და პატარა ზომის სამზარეულო დანიშნულების პირმოყრილ ჭურჭელს, რომელსაც გააჩნია მსუბუქად გამოყვანილი მუცლიანი, ოდნავ მორკალური ტანი. ისინი შემკულია ძველი კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი ღარული ორნამენტის სხვადასხვა ვარიაციებითა და მათი შერწყმით სხვა სახის შემკობასთან. უფრო ხშირად კი სავარცხლისკბილისებურ ორნამენტთან. დეკორის სახეობაში გამოიყოფა ჭურჭლის პირთან და კორპუსის დასაწყისში ჰორიზონტალურად შემოვლებული ფოსოები, ღარები, წინვოვანი ორნამენტი, ერთმანეთში ჩასმული წრეები და ნახევარრკალები. ასევე გვხვდება თიხის კორპუსზე გამოყვანილი მორჩისებური შვერილები, კენტად და წყვილად დატანილი კოპები (ცრუ ყურები), თალისებური ორნამენტი, შვერონები და შემკობის სხვა ელემენტები (ტაბ. XX-VII-1-11; XXVIII-1-6).

შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სამზარეულო დანიშნულების, საშუალო და პატარა ზომის სწორპირიანი თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნიმუშები, რომლებიც ასევე შემკულია ძვ. კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი ორნამენტებით (ტაბ. XXVIII-7-16). სწორპირიანი და პირმოყრილი ჭურჭლის ნატეხები გვხვდება წინანტიკური ხანის კულტურული ფენის ორივე დონეზე. როგორც ვხედავთ, ამ მხრივ ქვედა და ზედა დონეების მასალებს შორის ქრონოლოგიური სხვაობა არ უნდა შეინიშნებოდეს.

გულეიკარის „ნაეკლესიარზე“ პროფილირებული ნიმუშების მიხედვით შესაძლოა გამოვარჩიოთ სხვადასხვა ზომის ქოთნისებური მოყვანილობის ჭურჭელი, რომლებიც რაოდენობრივი თვალსაზრისით დანარჩენ სახეობას აღემატება. აქვთ მსუბუქად, საშუალოდ და ძლიერ გადაშლილი, უპირატესად დაბალყელიანი პირე-

ბი.მათ შორის დასტურდება ბაკო შესქელებული და გადაკეცილი, ბაკო დაბრტყელებული, სწორკედლიანი, ზოგჯერ მაღალყელიანი პირ-გვერდის ფრაგმენტები. დეკორში ქარბობს ღარული და სავარცხლისკბილისებური ორნამენტი, კოპები, ჭურჭლის ყელზე და კორპუსზე ჰორიზონტალურად შემოვლებული ფოსოების რიგები და ა.შ. ამ ჯგუფის თიხის ჭურჭელიც შემკულია ძველი კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი მოტივებით (ტაბ. XXIX- 1-8; XXX-1-15; XXXI-1-8).

ზოგიერთი ქოთნისებური ფორმის ჭურჭელი, რომელთაც გადაშლილი პირი და დაბალი ყელი აქვთ, შემკულნი არის წინვოვანი და სავარცხლისკბილისებური ორნამენტის რიგებით, მოკლე ღარებიტა და კორპუსის დასაწყისში დატანილი ფოსოების მწკრივებით (ტაბ. XXIX-2,6; XXX-2,3). ისინი დაფიქსირდა *insitu* მდგომარეობაში სულ ქვედა დონეზე ბორცვის ზედაპირიდან 2,3-2,6 მ. სიღრმეში. ფორმითა და ორნამენტული მოტივებით ჭურჭლის ეს სახეობა ბევრ საერთოს პოულობს გულიეკარის ბორცვის ზედა ჰორიზონტზე აღმოჩენილ ნიმუშებთან.

რამდენადმე ადრეულად გამოიყურება და შესაძლოა გვიანბრინჯაოს ხანას მივაკუთნოთ თიხის ნანარმის ერთი ჯგუფი. ასეთია მინიატურულყურიანი ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ორი ერთეული).სავარაუდოდ ყურებს მომცრო ხვერელში ჩამოსაკიდად თასმა უკეთდებოდა (ტაბ. XXXII-1,2). სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელს უნდა ეკუთნოდეს სწორპირიანი, ოდნავ ბაკო შესქელებული და დაბალყელიანი პირგვერდის ფრაგმენტიც. მათ გააჩნიათ ირიბად დატანილი მოკლე და გრძელი ღარებით შემკული ვერტიკალური ყური და კორპუსი (ტაბ. XXXII-7).აღმოჩნდა მსუბუქად გადაშლილპირიანი, დაბალყელიანი და მუხლისებურყურიანი ღარებით დაფარული თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ტაბ. XXXII-5). დასტურდება ოვალურგანიკვეთიანი ყურიც, რომლის ზურგი დაფარულია ღარული დეკორით (ტაბ. XXXII-6).

კოლხეთის დაბლობის სტრატიფიცირებული ნამოსახლარების მასალების გათვალისწინებით ამ ფორმის ყურიანი და დეკორიანი ჭურჭელი დამახასიათებელია ძვ. კოლხური I ეტაპის კერამიკისათვის.

აქვე შევხებით უფრო მოგვიანო ხანის, შავად და ნაცრისფრად გამომწვარ, ჩარხზე დამზადებულ ქოთნების პირ-გვერდის

ნატეხებს. მათ აქვთ გადაშლილი პირები და ზოგჯერ გამობერილი მუცლები, ყელზე და კორპუსის დასაწყისში ჰორიზონტალურად შემოუყვებათ კონცენტრული ღარები და ირიბად დატანილი ჭდეული რიგები (ტაბ. XXXIII-1-8). გვხვდება ვერტიკალურად დატანილი ღარებისა და სავარცხლისკბილისებური ნაჭდევების ურთიერთმონაცვლეობა და ა.შ. ქოთნისებურ ჭურჭელს ასევე უნდა მივაკუთნოთ ჭურჭლის კორპუსზე დატანილი ვიწრო კანელურებით, ბადისებური ორნამენტით შემკული კერამიკა და ირიბად ქობა დაჭდეული პირ-გვერდის ფრაგმენტი (ტაბ. XXXIII-9; XXXIV-2,3). შემკობის ეს სახე დამახასიათებელია ძვ. კოლხური II ეტაპის თიხის ნაწარმისთვის (დაახლოვებით ძვ.წ. X-VII სს.-ები).

პირ-გვერდის ფრაგმენტების მიხედვით გამოიყოფა შედარებით მცირე ზომის, სუფრის ჭურჭელი (კოჭბები და სხვ.), რომელთაც აქვთ მსუბუქად გადაშლილი, ხანდახან ბაკო შესქელებული, გარეთ გადმოკეცილი, სწორი და ზოგჯერ შვეულკედლიანი გადაშლილი პირები (XXXV-1-17).

გულეიკარის კერამიკულ მასალაში გვხვდება საშუალო ზომის ოვალურგანიკვეთიანი, ზომორფულყურიანი თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებიც ტოლჩებს უნდა ეკუთნოდეს (ტაბ. XXXVI-1-8). ზოგიერთს აქვს სწორი ან მსუბუქად გადაშლილი, ოდნავ შესამჩნევი პირი. გამოიყოფა მუცლიანი ნიმუშიც (ტაბ. XXXVI-1). ამ ტიპის ყურები ზოგჯერ დასტურდება არაპროფილირებულ ფრაგმენტებთან ერთად, ან სულაც პირ-გვერდის გარეშე, ცალკე ერთეულების სახით (XXXVII-1-6; XXXVIII-1-10).

ზომორფული ყურები ტიპოლოგიურად ერთმანეთისგან განსხვავდება გამოიყოფა ყურები, რომლებთაც აქვთ გამოკვეთილი, ანდა ნაკლებად შესამჩნევი გვერდითი შვერილები. ხანდახან ვერტიკალური და ჰორიზონტალური რიგების სახით ყურის ზედაპირზე დატანილია სავარცხლისკბილისებური ორნამენტიც (ტაბ. XXXII-3; XXXVI-5). გამოიყოფა ზომორფული ყურების ისეთი ნიმუშებიც, რომელთა ზურგის ქვედა ნაწილი დაფარულია ვიწრო ღარებით (ტაბ. XXXVII-8). ეს დეკორი ზოგჯერ ყურის ზურგზეც გადადის (ტაბ. XXXVII-2), ზოგჯერ კი გვხვდება ყურის ღეროს ქვედა ნაწილში, ჭურჭლის კორპუსზე მიერთებისას, ერთმანეთში ჩასმული ნახევარკალების რამდენიმე რიგის სახით (ტაბ. XXXVII-7).

დასტურდება ისეთი ზოომორფული ყურებიც, რომლებიც ხის ორკაპა ტოტს მოგვაგონებს (ტაბ. XXXVI-8). ასევე შესაძლოა ცალკე გამოიყოს ლილვაკისებურდანაძერწიანი ზოომორფული ყურებიც (ტაბ. XXXVIII-5,6).

კოლხეთის სტრატეგიციურებული ძეგლების მასალებზე დაყრდნობით, ზოომორფულ ყურების ეს სახეობა ძვ. კოლხური II ეტაპის კერამიკული ნაწარმის ერთ-ერთი ნამყვანი ელემენტია და ძირითადად გავრცელებულია ადრერკინის ხანაში.

ზოომორფული ყურები გამოვლენილია გულიეკარის ნამოსახლარის ყველა დონეზე და ამდენად ამ ჯგუფის თიხის ნაწარმის მიხედვით არავითარი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენა ვერ ხერხდება. ლილვაკისებური ყურების შედარებით მცირე რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ ძეგლი რამდენადმე ადრეული უნდა იყოს.

ზოომორფული ყურებიდან საკმაოდ განსხვავებულია ის ნიმუშები, რომლებიც ხარისებური ცხოველის თავ-კისრის სქემატურ გამოსახულებას მოგვაგონებს (ტაბ. XXXII-3,4).

ძვ. კოლხური II ეტაპის კერამიკას უნდა მივაკუთვნოთ გადაშლილპირიანი და დაბალყელიანი პირგვერდის ფრაგმენტი, დაკუთხული ყურით და ზედაპირზე წყვილად დატანილი ამოღარული დეკორით. გულიეკარის ნამოსახლარზე ასეთი ჭურჭელი მხოლოდ ერთი ცალი დადასტურდა (ტაბ. XXXIV-4).

მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი ქილისებური ფორმის ბრტყელძირიანი თიხის ჭურჭელი. მათ აქვთ სწორი პირი, დაბალი ყელი და ორივე მხარეს ყელს ქვემოთ მიძერწილი შვერილები (ტაბ. XXXIV-13). ეს ჭურჭელი კეცის ფაქტურის მიხედვით ნინანტიკურ ხანას უნდა მივაკუთვნოთ.

ძვ. კოლხურ II ეტაპს უნდა მივაკუთვნოთ ქვევრის პირგვერდის ფრაგმენტი, რომლის კორპუსი შემკულია ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად დატანილი, მარცვლოვანი ჭდეების რამდენიმე რიგით (ტაბ. XL-4,5). გვხვდება ამავე პერიოდის, ყელიანი, ბაკო შესქელებული და მუცლიანი პირგვერდის ფრაგმენტიც (ტაბ. XL-3).

გულიეკარის ნამოსახლარზე მცირე რაოდენობით დასტურდება დიდი ზომის სამეურნეო დანიშნულების თიხის ჭურჭელი-დერგები, რომლის შესახებ მსჯელობა მხოლოდ პროფილირებული პირ-

გვერდის ნატეხებით გვიხდება. ამ ჯგუფში გამოიყოფა ადრეული ნიმუშები: ბაკო შესქელებული, მკვეთრად გადაშლილპირიანი და ყელიანი დერგის პირ-გვერდის ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია ღარული და სავარცხლისკბილისებური ორნამენტთა შეხამებით, ზოგჯერ კი მხარზე დატანილი კოპით (ტაბ. XXIX-1,3). ისინი აღმოჩენილია სულ ქვედა დონეზე 2,3, 2,5 მ სიღრმეზე და ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს უნდა მიეკუთვნოს.

უფრო მოგვიანი პერიოდით - ძვ. კოლხური II ეტაპით უნდა დათარიღდეს ბაკო შესქელებული, დაბრტყელებულ-დანახნაგებული და გადაშლილპირიანი დერგისებური ფორმის ჭურჭლის პირგვერდის ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია მხარზე და ყელზე შემოვლებული ფართო ზოლიანი, კონცენტრული ღარებით (ტაბ. XXIX-4,5,XL-1,2).

სავარაუდოდ ადრეანტიკური ხანით უნდა განისაზღვროს თიხის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტებიც, რომლებიც დაფარულია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ქედებით. ზოგჯერ კი ჰორიზონტალურ ღარებს შორის მოქცეული ზიგზაგოვანი მწკრივებით (ტაბ. XXXIV - 6,9,11).

მცირე რაოდენობით გვხვდება ჯამისებური ფორმის ჭურჭელი. მათ შორის გამოიყოფა ძირისკენ მკვეთრად და საშუალოდ დაქანებულ კედლიანები. ამ ჯგუფის ჭურჭელში ტიპოლოგიურად უფრო ადრეულია ძვ. კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი დეკორით შემკული ნიმუშები: პირს ქვემოთ ჰორიზონტალურად შემოვლებული ღარების შერწყმა სხვადასხვა ანდაზით გადმოცემულ ასეთივე ორნამენტთან, ჰორიზონტალურად განლაგებული ფოსოებისა და ერთმანეთში ჩასმული ნახევარკალების კომბინირება (ტაბ. XLI-3-6). შედარებით მოგვიანო პერიოდს (ძვ. კოლხური II ეტაპი) მიეკუთვნება ჯამები, რომელთაც პირს ქვემოთ ან პირზე ჰორიზონტალურად ირიბი ნაჭდევების რიგი შემოუყვებათ (ტაბ. XLI-2,7), ასევე ჯამისებური ფორმის ჭურჭელი, პირს ქვემოთ გამოყვანილი მოკლე მილისებური გადმოსასხმელით (ტაბ. XLI-1). ამ ჯგუფის ჭურჭელი დასტურდება როგორც ზედა, ასევე ქვედა დონეზე.

ნამოსახლარზე გამოვლინდა ორი მცირე ზომის, პირთან ნაკლული, ხელით ნაძერწი თიხის სამარილე. ერთ მათგანს აქვს მოჩაღისფრო ზედაპირი და შიდაპირი, ნაცრისფერი კეცი და სწორი პირი

(ტაბ. XXII-6). მეორე კი მონაცრისფრო-მოჩალისფრო ზედაპირიანია (სიმაღლე-3,2 სმ, პირის დმ-3,4 სმ). ისინი კეციტა და გამონვის ტექნიკით გვიანბრინჯაოს ხანას უნდა მიეკუთვნოს.

ჩამოთვლილი თიხის ჭურჭლის სახეობები ძირითადად ბრტყელ-ძირიანია (ტაბ. XLII-1-8, 11-15). ზოგჯერ დასტურდება მსუბუქად გამოყვანილი ძირი (ტაბ. XLII-14-15), უფრო იშვიათია ქუსლგამოყვანილი და ღრუძირიანი ჭურჭელი (ტაბ. XLII-10). ჭურჭლის კედლები ძირისკენ თანდათანობით დაქანებებულია. ზოგჯერ კედლის ძირთან მიერთებისას დატანილია ირიბი ნაჭდევების რიგი (ტაბ. XLII-6).

გულეიკარის ნამოსახლარის ორივე დონეზე აღმოჩენილია მდიდრული ორნამენტით გაფორმებული თიხის ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, სადაც ჭარბობს ღარული ანდაზით შესრულებული დეკორი, ერთმანეთში ჩასმული წრეებით, ნახევარწრეებით, სავარცხლისკბილისებური ორნამენტის რიგებითა და სხვა ძვ. კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი დეკორით გაფორმებული კერამიკა (ტაბ. XX-1-6; XXI-1-6; XLIII-1-11; XLIV-1-12).

გამოიყოფა კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი, რომე-ლიც აშკარად ძველ კოლხურ II ეტაპს განეკუთვნება. კერძოდ, ოდნავ გადაშლილპირიანი, ფართო ზოლიანი კანელურიანი და ხორბლისებურჭდეებიანი კერამიკა; ფრჩხილისებურ ნაჭდევებთან და რელიეფურ ორნამენტთან შეხამებული ტალღურორნამენტისანი გვერდის ფრაგმენტი და ა.შ.

§4. ქვისა და თიხის მასალა

გულეიკარის ნამოსახლარის წინაანტიკური ხანის კულტურულ ფენაში ქვის მასალა ძალზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. გვხვდება ხელსაფქვავეები, სალესისა და შურდულის ქვები, სანაფები, ვოტიური დანიშნულების არტეფაქტები და ა.შ. ნამოსახლარის ორივე ჰორიზონტზე გამოვლინდა რამდენიმე ფრაგმენტირებული ნავისებული ფორმის ხელსაფქვავე (ზომები 13X15, 12X13, 18X25, 28X24 სმ), რომელთაც ხანგრძლივი გამოყენების კვალი ეტყობათ (ტაბ. XLV-1-5). ასევე აღმოჩნდა ქვიშაქვისა და რიყის ქვის დამუშავებული ნივთები, რომლებიც შესაძლოა რაიმე საყოფაცხოვრებო დანიშნულების არტეფაქტების დასამზადებლად ყოფილიყო გამოიზნული.

გამოვლინდა რიყის ქვისგან დამზადებული სალესი ქვა (XLVII-10). აქვს თანაბარი ზომის წაგრძელებული, ბრტყელი და ვიწრო ტანი, რომელიც თავში უფრო წვრილდება. არ გააჩნია თასმის ჩამოსაკიდი ხვრელი, რომელიც დამახასიათებელი ელემენტია კოლხეთის წინა და ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარებისა და სამაროვნების ანალოგიური ნივთებისათვის [მიქელაძე 1985:ტაბ. XXX-39-41].

საბრძოლო დანიშნულებისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი კვერცხისებური ფორმის შურდულის ქვა (ტაბ. XLVI-7). ასეთი სახის იარაღები ხშირად გვხვდება პროტოკოლხურ და ძველკოლხურ ნამოსახლარებზე. მათი განსაკუთრებული სიჭარბე კი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურულ ფენებში შეინიშნება. სავარაუდოდ ამ პერიოდში ნამოსახლარების მასშტაბების ზრდასთან ერთად უფრო ხშირდება გვართა თუ ტომთა შორის ურთიერთშეტაკებებიც და სხვა სახის იარაღებთან ერთად, ეს ნივთიც მომხდური მტრის წინააღმდეგ დისტანციური ბრძოლისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

გულეიკარის ნამოსახლარის I და II სამშენებლო დონეზე აღმოჩნდა საშუალო ზომის, ორივე მხრიდან გვერდებშიჭრილი, თავებმომრგვალებული, რიყის ქვისგან დამზადებული, თევზსაჭერი ბადის ჩასაბმელი სანაფები (ტაბ. XLVI-6,8). ვფიქრობთ, ბადის სანაფს ასევე უნდა უკავშირდებოდეს ნახევარსფეროსებური მოყვანილობის ბრტყელძირიანი თიხის ნივთი, რომელსაც ძირთან ახლოს

გამჭოლი ხვრელი აქვს (ტაბ. XLVII-1). ეს არტეფაქტი ვიზუალურად მოგვაგონებს თიხის კვირისტავებს, მაგრამ მათგან ნახვრეტის დატანის ტექნიკით განსხვავდება. სანაფს უნდა წარმოადგენდეს თიხის კონუსური მოყვანილობის არტეფაქტიც, მიუხედავად იმისა, რომ ბადის ჩასაბმელი ნახვრეტი არ გააჩნია (ტაბ. XLVI-5). ამ ფორმის თიხის სანაფები ზედა ნაწილში წყვილად დატანილი ნახვრეტით მრავლადაა აღმოჩენილი სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ძვ.წ. VII-VI სს-ების დიუნურ ნამოსახლარებზე, მათ შორის ნამჭედურის ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენაშიც [Микеладзе; Хахутаишвили 1985:34, ტაბ. 20-1-9].

ცხადია, ეს ნივთები იმაზე მეტყველებს, რომ მეთევზეობა გულეიკარის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენდა. ამისათვის კი ამ ძეგლის მდინარესთან სიახლოვეს უნდა შეეწყოს ხელი.

კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე, ანალოგიური ფორმის ქვის სანაფები, მათ შორის შედარებით მცირე ზომის, თითქმის ყველგანაა წარმოდგენილი, განსაკუთრებით მრავლადაა კი ზღვისპირა და მდინარისპირა ნამოსახლარებზე.

გულეიკარის ნამოსახლარის წინაანტიკური ხანის ფენაში აღმოჩნდა აგურისფრად გამომწვარი ოთხი ბორბლისებური და კონუსური ფორმის ბრტყელძირიანი თიხის კვირისტავი, რომელთაც მრგვალი ხვრელი შუა ნაწილში აქვთ დატანილი (ტაბ. XLVII - 3,4,5,6). ამათგან სამ ნივთს პრაქტიკული გამოყენება უნდა ჰქონოდა. როგორც ცნობილია, ამგვარ არტეფაქტებს საფეიქრო საქმიანობას უკავშირებენ [რამიშვილი 1974: 142-152; Куфтин 1950: 111]. თიხის კვირისტავების აღმოჩენით ირკვევა, რომ გულეიკარის მოსახლეობის საქმიანობაში ძაფის რთვას, გრეხასა და ქსოვას გარკვეული ადგილი ეკავა. ერთ-ერთი კვირისტავი მინიატურული ზომისაა (ტაბ. XLVII-4). მისი ზედაპირი დაფარულია ვერტიკალური ღარებით. ამიტომ მას უფრო ვოტიური, საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდა, ვიდრე პრაქტიკული.

კოლხეთის დაბლობის სტრატოგრაფიული ნამოსახლარების (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ნოსირი III და სხვ.) მასალების მიხედვით ირკვევა, რომ კონუსური ფორმის კვირისტავები უფრო მეტად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების

კულტურული ფენებისთვისაა დამახასიათებელი. ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში კი ჯერ ქვისა და შემდეგ კი მრგვალი ბორბლისებური (დოლაბისებური) ფორმის კვირისტავეები ქარბობს. [ჯიბლაძე 2007:89]. თუმცა ეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ზოგიერთ შემთხვევაში ირღვევა. მხედველობაში გვაქვს კოლხეთის ენეოლითური პერიოდის მღვიმე ნამოსახლარებზე (სამელე კლდე, საგვარჯილე და სხვ.) ნაპოვნი რამდენიმე ათეული კონუსური ფორმის კვირისტავი. ამ ტიპის ძეგლებზე გვხვდება აგრეთვე ბიკონუსური, სადა ზედაპირიანი კვირისტავეებიც, რომელთა ზედაპირი დაფარულია ფრჩხილისებური და სხივისებური ქდეებით. გვხვდება გულეიკარის კვირისტავის ანალოგიური ორნამენტებიც [ნებიერიძე 1986:154, ტაბ. XXIV-34,35,39].

გულეიკარის ნივთთან მიმართებაში საინტერესოა ნამარნუს ნამოსახლარზე (IV ფენა, ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი) გამოვლენილი ზედაპირდალარული კონუსური ფორმის კვირისტავი [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2006:56, ტაბ. XXXII-5]. ანალოგიური არტეფაქტი (ნახევარსფეროსებური ფორმის) დასტურდება ნამჭედურის ნამოსახლარის IV კულტურულ ფენაშიც (ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი), რომლის ზედაპირზე ოთხ რიგად დატანილია ქდეულორნამენტებიანი დეკორი [Микеладзе; Хахутаишвили 1985:42, ტაბ. 39-15;53-10]. ზედაპირდალარული კვირისტავეების დამზადების ტრადიცია კოლხეთში ელინისტურ ხანაშიც გრძელდება (ნამარნუ II ფენა) [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2006: 51, ტაბ. XXIII-12,13; XXVIII-14]. კოლხეთში კვირისტავეების ზედაპირის ორნამენტით დაფარვის ტრადიცია ენეოლითიდან იწყება და გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ელინისტურ ხანის ჩათვლით განაგრძობს არსებობას. ამგვარ კვირისტავეებს საკულტო დატვირთვა უნდა ჰქონოდათ. □

გულეიკარის ნამოსახლარზე დაფიქსირდა კაჟის ნამგლისჩასართის ორი ფრაგმენტი (ტაბ. XLVII -8,9). ერთ მათგანს თითქოსდა ეტყობა ცალი გვერდის დამუშავება. ორივე არტეფაქტი ცხადია მიწათმოქმედებასთანაა დაკავშირებული.

სხვა მასალებიდან ყურადღებას იპყრობს აგურისფრად გამომწვარი, ოვალური ფორმის, გვერდებზე რამდენადმე წაგრძელებული თიხის ნივთი (სიგრძე 13 სმ, სიგანე 9სმ). გააჩნია ორივე მხარეს გამოყვანილი მრგვალხვრელიანი ყუნწი, რომლის ცალი მხარე ბრტყე-

ლია, ხოლო მეორე კი უფრო ამოზიდულია (ტაბ. XXVI—7. XLVII-11). მიუხედავად იმისა, რომ არტეფაქტი შუაში გატეხილია, მოხერხდა მისი სრული ფორმის ვიზუალური გადმოცემა. ამ ნივთს პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა და ალბათ სამზარეულო საქმიანობაში გამოიყენებოდა. შესაძლოა ორივე მხარეს არსებულ ხვრელში თას-მას უყრიდნენ. პირობითად მას შესაძლოა საკიდიც ვუნოდოთ. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ანალოგიური არტეფაქტი კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე არ გვხვდება. პარალელები არც ეთნოგრაფიული მონაცემებითაც მოგვეპოვება.

ყურადღებას იპყრობს თიხის მცირე ფორმის ბორბალი (აღმოჩნდა ბორცვის ზედაპირიდან ორი მეტრის სიღრმეზე), რომელიც სავარაუდოდ ურმის თვლის იმიტაცია უნდა იყოს. არტეფაქტი რამდენადმე დაზიანებულია [ტაბ. XXII-5; XLVII-7]. ანალოგიური ნივთი, რომელსაც თიხის ბორბალს უკავშირებენ, გამოვლენილია ბათუმის ციხის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურულ ფენაში [კახიძე; ხახუტაიშვილი 1989:29].

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნამოსახლარის სულ ქვედა დონეზე აღმოჩენილი ობსიდიანის ანამტვრევი. კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე ობსიდიანის საბადო და ამ მინერალისაგან დამზადებული არტეფაქტები უცნობია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნოსირის ნამოსახლარის შუაბრინჯაოს ხანის I კულტურული ფენიდან მომდინარე ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევებს. მიაჩნიათ, რომ ნოსირის ნამოსახლარზე ობსიდიანი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან უნდა იყოს შემოტანილი, ხოლო მისი დამუშავება ადგილზე ხდებოდა [გოგაძე 1982:74].

გულეიკარის ნამოსახლარის ზედა და ქვედა დონეებზე მოპოვებული ოსტეოლოგიური მასალა შემოიფარგლება მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტით. იგი თიხის ნაწარმთან ერთად მრავლად აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან დაახლოვებით 2,5 მ სიღრმეში,¹⁴ მორუხო ფერის მოზვინულ მიწაში, რომლითაც ძველი არხი იყო ამოვსებული. საერთოდ, კოლხეთის დაბლობის ბრინ-

14. სამწუხაროდ ოსტეოლოგიური მასალების ლაბორატორიული განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

ჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე კარგად შემორჩენილი ცხოველის ძვლები ძირითადად აღმოჩენილია ქვედა, ტორფნარევი ფენებში. ეს ის დონეა, როდესაც კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი ზოლის პირობებში ნამოსახლარების გასამართავად ხის საფენებთან ერთად სპეციალურად იქმნება მონაზვინი მიწის შემალღებელი ადგილები. ასეთი სიტუაცია დასტურდება ყულევის ქვედა ფენაში, ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე, ანაკლია II-ზე და კოლხეთის დაბლობის სხვა სინქრონული პერიოდის დასახლებებზე.

გულეიკარის ბორცვის ზედაპირიდან 40 სმ სიღრმეში გამოვლინდა ბრინჯაოს დამუშავებასთან დაკავშირებული ქვიშაქვისაგან დამზადებული, გაურკვეველი ნივთების ჩამოსასხმელი სამი ყალიბის ფრაგმენტი (ტაბ. XLVI-1-3). ამავე საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს მონაცრისფრო-აგურისფრად გამომწვარი, გამლღვარი ლითონის ჩამოსასხმელი, მოკლე სახელურიანი და მილისებური ხვრელიანი თიხის ციცხვი (ტაბ. XLVII-12). შესაძლოა სახელურის დასაგრძელებლად ამ ნახვრეტში რაიმე ნივთს ამაგრებდენ, რათა მუშაობის დროს დამწვრობა არ მიეღოთ. თიხის ციცხვს აქვს ოვალური ფორმის, კოვზისებური ჩაღრმავება, რომლის პირი გარშემო რამდენადმე დაზიანებულია. მისი ზედაპირი ცალ მხარეზე ოდნავ ვიწრო და წინ წამოწეულია. ალბათ სწორედ აქედან ხდებოდა გამლღვარი ლითონის ყალიბში ჩამოსხმა. ლითონის ნივთების დამზადებას უნდა უკავშირდებოდეს 1,10 მ სიღრმეზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ნაღვენთებიც¹⁵.

ეს აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ კოლხეთის დაბლობის სამოსახლო ბორცვებზე ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები გამართული უნდა ყოფილიყო სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. სავარაუდოდ გულეიკარის ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნო ნედლედი მასალებით უახლესი სპილენძის საბადოებიდან მარაგდებოდა. ასეთად კი შეიძლება ჩავთვალოთ

15. ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული არტეფაქტები (ტიგელი, ნაღვენთები) ასევე აღმოჩენილია ნამარნუს ჩრდილოეთით მდებარე წინა ანტიკური ხანის ფენაში (ანჯერი I) [პაპუაშვილი 1987:53].

ზემო გურიის ტერიტორიაზე ცნობილი ვაკიჯვარის (ადგილი „ქორბუდე“) სპილენძის საბადოები.

ზედა დონეზე აღმოჩნდა ბორბლისებური ფორმის მომწვანო-მონაცრისფრო ფერის პასტის მძივი (ტაბ. XLVII-2), რომელსაც ახლო პარალელები მოეპოვება უფრო ადრეული პერიოდის ნამოსახლარების მასალებში: ფიჩორი, ერგეტა, ანაკლია II [ჯიბლაძე 1997:88; პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2005: 20; მუსხელიშვილი და სხვ. 2010:50, ტაბ. 28-9].

თავი III. გულეიკარის ნამოსახლარის ქრონოლოგია

როგორც აღინიშნა, გულეიკარის ნასახლარის მიმდებარე ტერიტორიის ჩრდილოეთ მონაკვეთში შემთხვევით აღმოჩენილი კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა როგორც ადგილობრივ, ასევე ბერძნულ იმპორტულ თიხის ნაწარმს, განისაზღვრა ძვ.წ. VI-V სს.-ებში [პაპუაშვილი 1999:101]. ამით გაირკვა, რომ გუძუბას გარშემო მდებარე დასახლებები წარმოქმნილი უნდა ყოფილიყო შედარებით მოგვიანო, ადრეანტიკურ ხანაში. საკუთრივ გულეიკარის ბორცვის შესწავლილ ფართობზე კი ამ პერიოდის კულტურული ფენა და მასალა არ გამოვლენილა, თუ არ ჩავთვლით ერთი ყუამილიანი დოქის მილისა და კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტს, რომელიც დიდი ალბათობით, აქ მიმდებარე ტერიტორიიდან უნდა მოხვედრილიყო (ტაბ. XXXIV-5,6,9,11).

გულეიკარის ნამოსახლარზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების წინასწარულ ანგარიშში გამოიყო ორი ქრონოლოგიური პერიოდის თიხის ნაწარმი და ზოგადად მიეკუთვნა ძვ.კოლხურ I და II ეტაპებს [ჩუბინიშვილი 2006]. ძეგლის გათხრელის აზრით, გულეიკარის ნამოსახლარის კერამიკული მასალის რამდენიმე ასეული ფრაგმენტი, რომელიც მოზენულ, ან დანგრეულ ფენებშია დაფიქსირებული, ძველი კოლხური კულტურის I ეტაპით უნდა დათარიღდეს. ამასთან ერთად გამოითქვა ვარაუდი, რომ ისინი ყველაზე მეტ პარალელებს ქალადიდის ზურგას შუა ფენის მასალებთან პოულობენ. დანარჩენი თიხის ნაწარმი კი ზოგადად წინაანტიკურ ხანას მიაკუთვნეს [ჩუბინიშვილი 2006].

კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების დათარიღებისას ერთ-ერთი წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება თიხის ჭურჭლის ცალკეულ სეგმენტებს (ფორმები, ორნამენტაცია, ყურების სახეობები და სხვა). აგრეთვე ამათუიმ შესწავლილი ძეგლის მასალების სინქრონიზაციასა და ურთიერთშეპირისპირებას კოლხეთის კარგად სტრატოგრაფიული ნამოსახლარების (ნაოხვამუ, ქალადიდის ზურგა, ნოსირი III, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ნამჭედური, ყულევი და სხვ.) არტეფაქტებთან. დათარიღებისას ძირითადად ვიყენებთ ტრადიციულ მეთოდს და ვიშველიებთ ზოგიერთ ძეგლზე მიღებულ რადიოკარბონულ (C-14)

თარიღებს.

როგორც წინა თავში აღინიშნა, გულეიკარის ნამოსახლარის სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა ძვ. კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი ორნამენტებით შემკული, ხელით ნაძერწი, ძირითადად შავად და ნაცრისფრად გამომწვარი პროფილირებული და უპროფილო კერამიკის ფრაგმენტები: ღარული და სავარცხლისკბილისებური ორნამენტის სხვადასხვა ვარიაციებით გადმოცემა და შეხამება სხვა სახის დეკორთან, ერთმანეთში ჩასმული წრეები, კიბისებური (საფეხურისებური) დეკორი, წინვოვანი სახეები, კოპები, ფოსოების რიგები, ნახევარწრეები, თალისებური ორნამენტი, ფესტონები, შევრონები და სხვა. ასეთი მრავალფეროვანი ორნამენტით ჭურჭლის (ძირითადად მისი ზედა ნაწილის) შემკობა [მიქელაძე: 1974: 53], დამახასიათებელია ძველი კოლხური I ეტაპის (ძვ.წ XIV-Xსს-ები) საფეხურის ძეგლებისათვის: ნაოხვამუ (შუა და ქვედა ფენა), აბედათის დიხა-გუძუბა, ჭალადიდის ზურგა (ქვედა, და შუა ფენა) ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (III და II კულტურული ფენა), ყულევი (II ფენა), ნოსირი III (II და III ფენა), საელიაოს კურზია (II ფენა), წყემი (II ფენა), ნამჭედური (V ფენა), ნამარნუს ჩრდილოეთი ბორცვი, ერგეტას მამულიების დიხა-გუძუბა (III ფენა) [Куртин 1950: ტაბ.47-1,3, 48-1-8, სურ. 48, ტაბ. 61; მიქელაძე 1978:40, ტაბ. II,IV; 1974:53; ფხაკაძე 1978: 137-143; Микеладзе; Хахутаишвили 1985:19, ტაბ.67-14, 68-1-5, 69,73-5-6; Микеладзе 1990:ტაბ. X-XI; გოგაძე 1982: ტაბ.37-44;ჯიბლაძე 1997: 65-65,ტაბ.I,II,XVI,XVII;2007: ტაბ. XXVI-1-23, XXVII, XX-VIII;LXXXVIII; პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2005: ტაბ.XXIII; 2006:62-63,ტაბ.XXXIV-1-11].

გულეიკარის გუძუბაზე ამ ჯგუფის თიხის ნაწარმში მცირე რაოდენობით გვხვდება ძვ. კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი ფრინველისმკერდისებური, მუხლისებური, მინიატურული (თასმაგასაყრელი) და ღეროდაღარული ყურები, რომელთაც სტრატოციფიცირებული ნამოსახლარების მასალების მიხედვით დამატარიღებელი მნიშვნელობა აქვთ. ძვ.წ. II ათასწლეულის დასარულს უნდა მიეკუთვნოს ზოომორფული ყურების ის სახეობა, რომელთაც აქვთ წერტილოვანი დეკორიანი, ნაკლებად გამოკვეთილი შვერილები. ჩამოთვლილი ყურების სახეობები გვხვდება ძვ.კოლხური I ეტაპის როგორც ადრეულ, ასევე მოგვიანო საფეხურის სტრატო-

ფიცირებული ძეგლების კულტურულ ფენებში.¹⁶ ისინი მდიდრულ ორნამენტებთან ერთად, ამ ეტაპის ერთ-ერთი ნამყვანი და დამახასიათებელი ელემენტებია [Куфтин 1950: სურ. 48; მიქელაძე 1974: 55-56; Микеладзе 1990: ტაბ. XXXVII; ჯიბლაძე 1997: 113-115; 2007: ტაბ. XIX-51,56; XX-27; XXIX-11,12,13; LXXXIII-9,10]. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გულეიკარის ნამოსახლარის მონაზვინ მინაში გამოვლენილი მასალა ძვ.წ. XIII-XII, ან XII-XI სს. უნდა დათარიღდეს[□].

ორიოდე სიტყვით გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ძვ. კოლხური I ეტაპის ადრეულ და მოგვიანო საფეხურებად დაყოფაზე, რადგან ეს ხანა უშუალო კავშირშია გულეიკარის ნამოსახლართან. ძვ. კოლხური I ეტაპის მოგვიანო საფეხურის გამოყოფა (ძვ. XI-IX სს-ები) როგორც სტრატეგრაფიული ასევე ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით შესაძლებელი გახდა ფიჩორის ცენტრალური ბორცვის II კულტურული ფენის მასალებზე დაყრდნობით. თავის დროზე ამ საფეხურისათვის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებად ჩაითვალა ვინრო ზოლიანი, კანელურიანი ჭურჭელი, ნაჭდევიანი ჭურჭლის პირის ქობები, სავარცხლისკბისებური დეკორით გრავირირებული ჭურჭლის ყურები და სხვა ელემენტები [ჯიბლაძე 1997:115; 2007: 115]. ამ საფეხურზე იშვიათადაა უშუალოდ ძვ. კოლხური II ეტაპისათვის დახასიათებელი სოლისებური, რომბული სახეებით გაფორმებული თიხის ნაწარმი, ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკა, ლილვაკისებური დანაძერნიანი ყურები, ჭურჭლის ყელზე და კორპუსის დასაწყისში შემოვლელი სარტყლები, ნათითურ ფოსოიანი დეკორი და ა.შ. ერთეული სახით გვხვდება ჩარხზე ნაკეთები თიხის ჭურჭელი.

გულეიკარის „დიხა-გუძუბაზე“ მოპოვებული კერამიკის მეორე ნაწილი ძველი კოლხური კულტურის II ეტაპით - ძვ.წ. X-VII სს. უნდა დათარიღდეს. ამ საფეხურის განმსაზღვრელი ნაწარმი ჩარხზეა დამზადებული. ზემოთ განხილული მასალისგან განსხვავებით, ამგვარი კერამიკის რამდენიმე ეგზემპლარი უშუალოდ სამშენებლო ჰორიზონტების იატაკებზეა მოპოვებული. ეს ფაქტი კი მათი დათარიღების კარგ საფუძველს იძლევა, რომლის ერთ-ერთ

16. ასეთ შესაძლებლობას იძლეოდა ფიჩორის ცენტრალური ბორცვის უწყვეტ სტრატეგრაფიულ ჭრილზე თვალის გადევნება. ამ ძეგლის II ფენაში გამოვლენილი მასალები განსხვავდებოდა ბორცვის გარშემო შედარებით მოგვიანო პერიოდში (ძვ.წ VIII-VII სს-ები) წარმოქმნილ N 2,3,4,8 დიხა-გუძუბათა არტეფაქტებისაგან, სადაც დომინირებდა ძვ. კოლხური II ეტაპის კერამიკული ნაწარმი.

განმსაზღვრელად კერამიკის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი მიიჩნევა. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ჩარხის გამოყენებას და ორნამენტს.

კოლხეთში ჩარხზე დამზადებული ჭურჭელი ძველი კოლხური კულტურის II ეტაპისათვის არის დამახასიათებელი. ამავე პერიოდში იწყება კერამიკული ნაწარმის სერიული წარმოებაც. გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპთან შედარებით (ძვ. კოლხური I ეტაპი), ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის კერამიკა უფრო მდარე ხდება, ორნამენტული სახეები კი უფრო მარტივი და ერთგვაროვანია [ოქროპირიძე; ბარამიძე 1974:103-104]. ძველი კოლხური კულტურის II ეტაპზე თიხის ნაწარმი განიცდის ფორმალურ ცვლილებებს, ჩნდება ახალი ტიპის, კანელურიანი ჭურჭელი, რომელიც ამ ეტაპის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტია [გოგაძე 1982:67]. თვითონ კანელურები სხვადასხვაგვარადაა დამუშავებული: ზოგ მათგანს თავი აქვს მომრგვალებული, ნაწილს კი ზედა მხარეს სამკუთხედი აქვს დატანილი. ორნამენტი ამ დროს უფრო ღარიბულია, ვიდრე წინა პერიოდში. როგორც წესი, ვინროზოლიანი კანელურიანი ჭურჭელი საშუალო და მცირე ზომისაა, ხოლო ფართოზოლიანი კი გვხვდება შედარებით დიდი მოცულობის ჭურჭელზე.

გულიეკარის ნამოსახლარზე როგორც ფართო, ასევე ვინროზოლიანი კანელურიანი თიხის ჭურჭელი, ჩარხზეა დამზადებული. კერამიკის სხვა ელემენტებთან ერთად აღმოჩენილია ორივე პორიზონტზე, მაგრამ ძირითადად მაინც ზედა პორიზონტზეა თავმოყრილი. ისინი დასტურდება როგორც ცალკე, ასევე სხვა სახის ორნამენტულ მოტივებთან ერთად კომბინირებული სახით. ზოგჯერ ერთსა და იმავე დონეზე ამ ტიპის ორნამენტით შემკული ჭურჭელი უფრო ადრეული ხანის მასალებთან ერთად ფიქსირდება, რაც მიწის მოზვინით უნდა იყოს გამოწვეული. კანელურიანი თიხის ნაწარმი ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით სულ ქვედა დონეზე - 2-2,50 მ სიღრმეზე არ გვხვდება.

კანელურებით გაფორმებული თიხის ნაწარმი დასტურდება კოლხეთის დაბლობის ძვ. კოლხურ II ეტაპის თითქმის ყველა ნამოსახლარზე.¹⁷ ის ამ ეტაპის ძირითადი და წამყვანი ელემენტია.

17. ძვ.კოლხურ II ეტაპს ქრონოლოგიურად აქცევენ ძ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან, ვიდრე ძვ.წ. VIII-VII სს-ების ბოლომდე [Микеладзе 1990:81].

დეკორის მიხედვით ზოგჯერ შესაძლებელია ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენაც. კერძოდ, ვინრო ზოლიანი კანელური-ანი ჭურჭელი ძვ. კოლხური I ეტაპის მოგვიანო საფეხურისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ფართოზოლანი კი ძვ. კოლხური II ეტაპისათვის [ჯიბლაძე 1997:114-115].

კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სტრატეფიცირებული ნამოსახლარების მასალების მიხედვით ასეთი სახის დეკორიანი კერამიკა ძირითადად დამახასიათებელია ადრერკინის ხანის ეპოქის ძეგლებისათვის [Куфтин 1950:48-29,30,81,84].

გულიეკარის „ნაეკლესიარის“ ბორცვზე ძველკოლხური II ეტაპის კერამიკას, კეცის ფაქტურითა და დეკორით, ასევე კარგად ათარილებს დიდი ზომის ჭურჭლის (ქვევრები, დერგები) ფრაგმენტები; ქოთნისებური ფორმის ჭურჭელი, რომელთაც ყელზე და კორპუსის დასაწყისში ჰორიზონტალურად შემოუყვებათ ირიბად დატანილი მარცვლოვანი ქდეები და კონცენტრული ღარები. გვხვდება ამავე ეპოქისათვის დამახასიათებელი სხვა ელემენტები: ზომორფული ყურების ზოგიერთი სახეობა, რომელიც დასტურდება ძველკოლხურ I ეტაპზე და განაგრძობს არსებობას ძველკოლხურ II ეტაპზეც [მიქელაძე 1974: 56].¹⁸ ძველკოლხური II ეტაპის ჩარხზე დამზადებული კერამიკისათვის დამახასიათებელი ლილვანისებურად დანაძერწიანი და ორკაპა ტოტის მაგვარი ყურები.

გულიეკარის ნამოსახლარის ძვ. კოლხური II ეტაპის კერამიკა შემკულია აგრეთვე ტალღისებური, თევზისფხური და სხვა სახის ორნამენტებით.

18. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ზომორფული ყურების ფორმის ჩამოყალიბება წინანტიკურ ხანას უკავშირდება [ინაური 1987:139]. ამ ტიპის ყურებში გამოყოფენ: 1-წაკვეთილშვერილიანს-სამი ქვეტიპით; 2-ლილოვანდაძერწილი-ოთხი ქვეტიპით; 3-სარტყელ-დაძერწილი; 4-მახვილშვერილიანი სამი ვარიანტით; 5-ცხოველთა სკულპტურული გამოსახულებით შემკული-ოთხი ქვეტიპით; 6-კოპისებური, ლილისებური დაბოლოებით [ინაური 1987:140-142].

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შემდეგი დასკვნების გამოტანა შეგვიძლია.

გულეიკარის ნამოსახლარი განეკუთვნება კულტურულ ფენათა თანდათანობითი დაფენების შედეგად წარმოქმნილ ხელოვნურად გამართულ სამოსახლო ბორცვთა I ტიპს.

გულეიკარის „ნაეკლესიარი“ განმხოლოებით მდებარე სამოსახლო ბორცვს კი არ წარმოადგენდა, არამედ შესაძლოა იგი იყო მის ირგვლივ განფენილი ადრეანტიკური ხანის ნამოსახლართა სისტემის მთავარი დიხა-გუძუბა. იქნებ ეს ბორცვი განსაკუთრებული სტატუსის მატარებელიც ყოფილიყო. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ აქ ცხოვრობდა დასახლებათა სისტემის „მაღალი რანგის“ პირი (მეთაური), რომელსაც ემორჩილებოდა ბორცვის გარშემო განსახლებული მოსახლეობა.

გულეიკარის „ნაეკლესიარი“ ალბათ წარმოადგენდა ნათესაურ კავშირზე დაფუძნებული გვარის ერთი ოჯახის საცხოვრისს. სავარაუდოდ ეს ძველი თავის სისტემით, წინა და ადრეანტიკურ ხანაში შედიოდა იქვე ახლოს განფენილი ბორცვებისა და ვაკე ნამოსახლარების მსგავსად (ნამარნუს სამხრეთი და ჩრდილოეთი ბორცვები, ანჯერი I, ანჯერი II, კეთილარის ბორცვები-„სასაფლაო“, „ნაეკლესიარი“, გულეიკარის „ნაოხვამუ“) ნამარნუს ნამოსახლართა კომპლექსში. დიდი ალბათობით აქ ამ დროს უნდა ვიგულისხმობთ დაბური ტიპის დასახლებას, რომლის პოლიტიკურ და ჰეგემონ ცენტრს წარმოადგენდა ნამარნუს „შუამაღალა“.

გულეიკარის ნამოსახლარზე გავრცელებული უნდა ყოფილიყო ჯარგვალური და ნნულისგან აგებული, წრიული ფორმის ფაცხური ტიპის ნაგებობები.

გულეიკარის „ნაეკლესიარზე“ თიხის ნანარმში ტიპოლოგიურად გამოიყოფა ძვ.კოლხური I ეტაპის კერამიკა, რომელიც ბორცვის მონაზვინ ფენებში დაფიქსირდა. სტრატეგრაფიულად გამოიყო წინაანტიკური ხანის მასალების შემცველი კულტურული ფენა ორი სამშენებლო ჰორიზონტით (ნ.ჩუბინიშვილი)

შემორჩენილი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ გულეიკარის „ნაეკლესიარის“ მოსახლეობის ძირითადი საქმიანობის დარგს წარმოადგენდა მინათმოქმედება, ლითონდამუშავება, მეთევზეობა და სხვა.

გულეიკარის ნამოსახლარი ზოგადად უნდა განისაზღვროს ძვ.წ XIII-X1, X-VII სს-ებში.

**Guleikari Old Settlement
Resume**

The monument is located on the territory of village Guleiskari, Abasha Municipality at the left bank of River Rioni. "Guleiskaris Naeklesiari" (height 1,5 – 1,75m, diameter 45-47m) is an artificially constructed housing type hill. Nearby the old settlement are located later pre-antique era settlements. On the hill were carrying out excavations for two months in 2006. One cultural layer of pre-antique era containing with two construction horizons had been allocated from the monument. From the obtained material mostly was presented ceramic materials. On the head of hill and in the depth of ground, on the different level had been outlined earlier period Old Colchis I Type materials without cultural layer. Apparently they were layout on the hill as a result of laying the cut out land, while carrying out periodic renewal of the settlement by residents of later periods. The remains of the monument constructions are represented fragmentary. In accordance to the mentioned the clay plastered Jargvaluri type and sprinkled branches, Patskha similar oval shaped buildings were widely spread. The old Colchis type I stage ceramics found in the cut out land had been decorated with luxurious ornaments. Mostly are found kitchen clay tableware. In the pre-antique era layer (old Colchis II stage) are spread barbed ceramics. The clay pottery of this period was more homogenous and poorly decorated. We also can find grinders, grindstones, stone rods of fishing grid, clay "Kviristavi", flint sickle insertions and so on. In the Guleiskari old settlement are found artifacts of bronze production activities, stone molds and metal tapping clay bucket. Also the melted bronze found on the hill is related to the industrial activities.

In accordance with the data of parallel materials of old settlement of Kolkheti lowland, the Guleikari hill cut land and artifacts of pre antique era shall be dated as XIII-XI and X-VIII centuries BC.

ლიტერატურა

- ადამია აღ. 1979:** კოლხური წნული სახლები, ძმ, 49, გვ. 27-50.
- აფაქიძე ჯ. 2001:** კოლხეთის გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანის დასახლებათა ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საკითხები. კავკასიის ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი VI, დამატება), თბილისი.
- აფაქიძე ჯ; ჭაბაშვილი ლ 2017:** კოლხური კულტურის ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვის ტაბაკონის 2017 წლის გათხრების მოკლე ანგარიში. 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგა-რიშების კრებული, თბილისი, გვ. 277-279.
- ბარამიძე მ. 1998:** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები), სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი. დაცულია მეცნიერის პირად არქივში.
- ბარამიძე მ. 1998-ა:** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბილისი.
- ბარამიძე მ. 2017:** ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი
- ბერძენიშვილი ნ. 1975:** საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, თბილისი.
- გოგაძე ელ. 1982:** კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბილისი.
- გრიგოლია გ. 1971:** დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ, თბილისი, გვ. 18-20.
- გრიგოლია გ., ოქროპირიძე ნ., ჯაფარიძე ბ., წირღვავა კ., ჩართოლანი შ. 1972:** დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წ, თბილისი, გვ. 29-31.

- გრიგოლია გ. 1973:** ბარბაროსების დიდი ქალაქის ლოკალიზაციისათვის, ძმ, №33, თბილისი, გვ.50-58.
- გრძელიშვილი ი. 1945:** კოლხეთის დაბლობის ძველ მოსახლეობათა არქეოლოგიური გათხრების მეთოდისათვის, სმამ, ტ. VI, თბილისი, გვ. 476-481.
- ინაიშვილი ა. 1977:** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის შედეგები (ანგარიში). სდსძ VI, თბილისი, გვ.67-90.
- ინაური გ. 1987:** ნინარეანტიკური ხანის კოლხური თიხის ჭურჭლის ზოომორფულ ყურთა ძირითადი ტიპები და ფორმის ტექნიკური განვითარების ეტაპები. „მაცნე“-ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №4, თბილისი, გვ.138-154.
- ინაძე მ. 1994:** ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბილისი.
- კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ. 1989:** მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, სდსძ XVII, თბილისი.
- კახიძე ა; სურანიძე ნ 2018:** 2017 წლის მახილაურის არქეოლოგიური ექსპედიციის მოკლე ანგარიში. 2017 წლის ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, თბილისი, გვ.172-174
- ლომოური ნ. 1968:** ეგრისის სამეფოს ისტორია, თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1986:** არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი.
- მიქელაძე თ. 1965:** ქ.ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წელს ჩატარებული სამუშაოთა შესახებ.
- XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, გვ.45-51.
- მიქელაძე თ. 1974:** ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი.
- მიქელაძე თ. 1978:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბილისი.
- მიქელაძე თ. 1985:** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბილისი.

- მურვანიძე ბ. 2006:** შუაბრინჯაოს ხანის გორა ნამოსახლარის ანაკლია II შესწავლის ისტორიისათვის, გურია IV, თბილისი, გვ. 34-40.
- მუსხელიშვილი დ; ჯიბლაძე ლ; პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2010:** ანაკლია II, თბილისი.
- ნებიერიძე ლ. 1986:** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრე-სამინათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბილისი.
- ნებიერიძე ლ. 2003:** მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი, თბილისი.
- ოქროპირიძე ნ; ბარამიძე მ. 1974:** პალურის საძვლე (1969 წლის მუშაობის შედეგები), მსკა V, თბილისი, გვ. 96-120.
- პაპუაშვილი რ. 1987:** არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები კოლხეთის დაბლობზე (1983-1986 წწ), ძმ N4, თბილისი, გვ. 51-53.
- პაპუაშვილი რ. 1999:** გულეიკარის არქეოლოგიური ძეგლები. მილსადენის არქეოლოგია, ტ I, თბილისი, გვ. 99-103.
- პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ 2001:** ნამარნუს ადრექრისტიანული ხანის ძეგლები, გურია III, თბილისი, გვ. 107-187.
- პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2005:** კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. ერგეტა, თბილისი.
- პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2006:** ნამარნუ (ძვ.წ. II-I ათასწლეულის ძეგლები), გურია IV, თბილისი, გვ. 46-66.
- პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2007:** რიონ-ჩოლოქის ორმდინარეთის არქეოლოგიური ძეგლები, გურია V, თბილისი, გვ. 40-51.
- პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ს. 2014:** შავი ზღვის პალეორეჟიმი და მისი გავლენა კოლხეთის დაბლობის დასახლებებზე (ძვ.წ. III-სათასწლეულებში), თბილისი.
- პაპუაშვილი რ 2018:** ცვანეს დიხაგუძეზაზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. 2018 წლის ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, თბილისი, გვ. 59-63.
- რამიშვილი ალ. 1974:** კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი.
- ხახუტაიშვილი ნ. 1986:** სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ადრერკინის ხანაში. სდსძ VIII, თბილისი.

- ხახუტაიშვილი დ. 1995:** ქობულეთის ქვეყანა, თბილისი.
- ფხაკაძე გ. 1978:** მასალები აბედათის დიხა-გუძუბადან, მსკა VI, თბილისი, გვ.137-143.
- ფხაკაძე გ. 1993:** დასავლეთ ამიერკავკასია ძველი ნელთალრიცხვის III ათასწლეულში, თბილისი.
- ქავთარაძე გ. 1981:** საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბილისი.
- ხოშტარია ნ. 1944:** დიხა-გუძუბა კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა. სმამ. ტ. V, №2, თბილისი, გვ. 207-216.
- ხოშტარია ნ. 1945:** კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა. სმამ, ტ.VI №6. თბილისი, გვ. 465-473.
- ჯაფარიძე ო. 1982:** დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში. „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, თბილისი, გვ.42-63.
- ჯიბლაძე ლ. 1997:** კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია პერიოდიზაცია (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მასალების მიხედვით), თბილისი.
- ჯიბლაძე ლ. 2007:** კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბილისი.
- ჯიბლაძე ლ; პაპუაშვილი ნ. 2007:** კლასიკური ხანის მასალები ანაკლია მეორედან. კრებული იბერია- კოლხეთი N 3, თბილისი, გვ.100-112.
- ჯიბლაძე ლ. 2010:** სახლის თიხის მოდელი ნაოხვამუდან და ძველი კოლხურ ნაგებობათა სისტემა. კრებული იბერია-კოლხეთი N6, თბილისი გვ. 117-124.
- ჯიბლაძე ლ; პაპუაშვილი რ. 2013:** ხელოვნურ ბორცვთა აგებულებისათვის. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, 4, 49-B, თბილისი, გვ.100-112.
- ჩიქოვანი თ. 1999:** ჯარგვალური სამშენებლო ტიპის კავკასიური არეალი, ძიებანი N 3, თბილისი, გვ.85-90.
- ჩიქოვანი თ. 2000:** კოლხეთის ზღვისპირეთის უძველესი დასახლებების მოდელი, ძიებანი №6, 2000, თბილისი, გვ.46-53.
- ჩუბინიშვილი ვ. გულიეკარის 2006** წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, ხელნაწერი.

- Апакидзе А; Бурчуладзе А.** 1987: Радиоуглеродное датирование археологических и палеоботанических образцов Грузии. Тбилиси.
- Гоголишвили В.** 1940: Проблема изучения древних памятников Колхидской низменности. Бюллетень Комиссии по изучению четвертичного периода № 6-7, Москва-Ленинград, стр.109-110.
- Джапаридзе В., Беридзе Г., Джикия Л.** 1979: Об археологических разведках и раскопках в зоне строительства Вардцихской ГЭС. ПАИ в 1976 г., Тбилиси, стр.214-223.
- Джанелидзе Н.** 1980: Палеография в Грузии в Голицене. Тбилиси.
- Куфтин Б.** 1950: Материалы к археологии Колхиды, том. II, Тбилиси.
- Микеладзе Т.** 1982: Основные результаты полевых исследований Колхидской археологической экспедиции. ПАИ в 1980 г., Тбилиси, 31-35.
- Микеладзе Т; Хахутаишвили Д.** 1985: Древнее Колхидское поселение Намчедури, Тбилиси.
- Микеладзе Т., Папуашвили Р., Чубинишвили Н.** 1987: О работах Колхидской археологической экспедиции. ПАИ в 1984-1985 гг., Тбилиси, стр.39-42.
- Микеладзе Т.** 1990: К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы-раннего железа), Тбилиси.
- Микеладзе Т., Папуашвили Р., Чубинишвили Н.** Колхидская экспедиция 1991: ПАИ в 1986 г., Тбилиси, стр.59-65.
- Микеладзе Т.** 1994: Протоколхская культура. Археология эпохи бронзы Кавказа и Средней Азии. Москва, стр.67-74.
- Хахутаишвили Д.** 1984: Природа и человек в Приморском полосе Колхиды в э эпоху Голицена. Кавказо- Ближневосточный сборник, VIII, Тбилиси, 146-151.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I.1-**სოფ.გულიეკარისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკა. მილსადენის ტრასა; **2-**გულიეკარის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ძეგლები.
- ტაბ.II-1,2.** ბორცვი მცენარეული საფარისგან განმეზღვრული (ხედი ჩრდილოეთი და აღმოსავლეთის მხრიდან).
- ტაბ.III-1.** ბორცვი მცენარეული საფარის განმეზღვრული მიმდინარეობისას; **2-**მცენარეული საფარისგან განმეზღვრული ტერიტორიის დაკვადრატება (ხედი ჩრდილოეთიდან).
- ტაბ.IV-A.**გულიეკარის ბორცვის სიტუაციური გეგმა; **B,C-**თხრილის გეგმა და ჭრილი.
- ტაბ.V.-1.** გუძუბაზე არქეოლოგიური გათხრების დასაწყისი; **2-** ჰუმუსური ფენის ქვეშ დაფიქსირებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ჩალენილი კერა?).
- ტაბ.VI.** ბორცვზე გავლებული პირველადი თხრილის სიტუაციური გეგმა **0,25** სმ.სიღრმეზე.
- ტაბ.VII-1.** ცენტრალური თხრილის **IV**სექტორი **40** სმ. სიღრმეზე დადაბლებისას (ხედი ჩრდილოეთიდან); **2-** ცენტრალური თხრილის **IV**სექტორი რიყის ქვებისა და ბათქაშოვანი ფენის ალების შემდეგ (ხედი სამხრეთიდან).
- ტაბ.VIII-**პირველადი თხრილის გაფართოების სიტუაციური გეგმა **0,25-0,45** სმ. სიღრმეზე.
- ტაბ.IX.**ცენტრალური თხრილის **I,II** სექტორები სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას (ხედი აღმოსავლეთის მხრიდან); **2,3-**ცენტრალური თხრილის **I** სექტორი-ზედა სამშენებლო ჰორიზონტის ნგრევის კვალი (ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთი მხრიდან).
- ტაბ. X-1.**თხრილის გეგმა **0,40-0,55** მ სიღრმეზე. **II-II-**თხრილის აღმოსავლეთი კედლის ჭრილი; **III—III-**თხრილის დასავლეთი კედლის ჭრილი.
- ტაბ.XI-1.** ცენტრალური თხრილის **I** სექტორი-მეორე სამშენებლო ჰორიზონტის იატაკის ფრაგმენტი (ხედი ჩრდილო-სამხრეთიდან); **2-**ცენტრალური თხრილის **IV** სექტორში გადამწვარი ხის ნაშთები პრეპარაციის ჩატარების შემდეგ (ხედი ჩრდი-

ლოეთიდან).

ტაბ.XII.თხრილის გეგმა გაფართოების შემდეგ. აღმოსავლეთის მხრიდან თხრილს დაემატა E-F 1-2 კვადრატები (სიღრმე 0,9 მ); J-E კვადრატების მესამე რიგში გაივლო საკონტროლო თხრილი. ჭრილები: I-I-C,D კვადრატების მე-2 რიგი; II-II-E-J-კვადრატების მე-3 რიგი 0,7-1,2 მ სიღრმეზე- თხრილის აღმოსავლეთი კედლის მიხედვით; III-III,A-1,A-E -კვადრატების მეორე რიგი 0,90 მ სიღრმეზე-თხრილის სამხრეთი კედლის მიხედვით.

ტაბ.XIII.A,B,C,D,E-ცენტრალური თხრილის IV სექტორში დაფიქსირებული სტრატეგრაფიული ჭრილები C-3-8 კვადრატების მიხედვით (სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით).

ტაბ. XIV-II და IV სექტორების სიტუაციური გეგმა და ჭრილები:III-III-თხრილის სამხრეთი კედლის მიხედვით, A,A-E კვადრატების მეორე რიგში 1,20 მ სიღრმეზე; IV-IV-ჩრდილოეთი კედლის მიხედვით C-F კვადრატებში 1-1,2 მ სიღრმეზე; V-V-IV სექტორის თხრილი აღმოსავლეთი კედლის მიხედვით D კვადრატის 4-8 რიგში; VII-VII-A, A- E კვადრატების მეორე რიგი 1,2 მ სიღრმეზე თხრილის სამხრეთი კედლის მიხედვით.

ტაბ.XV-1.საკონტროლო თხრილის დაღრმავების პროცესი;2-საკონტროლო თხრილში დაფიქსირებული ქვაყრილი.

ტაბ.XVI.საკონტროლო თხრილში 1,40 მ სიღრმეზე დაფიქსირებული ქვაყრილი. VIII-VIII და IX-IX-საკონტროლო თხრილის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების ჭრილები.

ტაბ.XVII-1.საკონტროლო თხრილში დაფიქსირებული ქვაყრილი და მის თავზე განფენილი მონაზვინი თიხნარი;2-საკონტროლო თხრილი-დაღრმავების პროცესი.

ტაბ.XVIII-გულიეკარის „ნაეკლესიარზე“ დადასტურებული სხვადასხვა თხრილის სტრატეგრაფიული ჭრილები (E-J-3-კვადრატები).

ტაბ.XIX.საკონტროლო თხრილებში დაფიქსირებული სტრატეგრაფიულ ჭრილები (E-J-3 კვადრატები, დასავლეთიდან სამხრეთის მიმართულებით).

ტაბ.XX,XXI,XXII-ძველი კოლხური I ეტაპის მასალები გულიეკარის ნამოსახლარის სხვადასხვა დონიდან.

ტაბ.XXIII,XXIV-ძველი კოლხური II ეტაპის კერამიკის ფრაგმენტები

წინაანტიკური ხანის ფენიდან.

ტაბ. XXV. ძველი კოლხური I ეტაპის ყურ-გვერდის ნიმუშები მონაზვინი ფენიდან.

ტაბ. XXVI.1-4- ზოომორფულყურიანი ჭურჭლის პირგვერდის ფრაგმენტები; 5-პასტის მძივი; 6-თიხის კონუსური ფორმის კვირისტავი; 7-გაურკვეველი დანიშნულების თიხის ნივთი (საკიდი).

ტაბ. XXVII.1-11. ძვ. კოლხური I ეტაპის კერამიკა-პირმოყრილი თიხის ჭურჭელი მონაზვინი ფენიდან.

ტაბ. XXVIII.1-6,7-16- პირმოყრილი და სწორპირიანი თიხის ჭურჭელი მონაზვინი ფენიდან.

ტაბ. XXIX, XXX, XXXI. ძვ. კოლხური I ეტაპის ორნამენტით შემკული ქოთნისებური ტიპის ჭურჭელი.

ტაბ. XXXII.1-8- გვიანბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელი ყურების ნიმუშები, ზოგჯერ პირგვერდის ფრაგმენტებით.

ტაბ. XXXIII. 1-9 ქოთნისებური მოყვანილობის ჭურჭელი წინაანტიკური ხანის კულტურული ფენიდან.

ტაბ. XXXIV.1-13. კერამიკის ნიმუშები წინაანტიკური ხანის ფენიდან.

ტაბ. XXXV-1-17. მცირე ზომის თიხის ჭურჭლის (კოჭბები, ქოცოები) ფრაგმენტები ბორცვის სხვადასხვა დონიდან.

ტაბ. XXXVI , XXXVII, XXXVIII. ზოომორფული ყურები (ზოგჯერ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად) მონაზვინი და წინაანტიკური ხანის ფენიდან.

ტაბ. XXXIX. დერგისებრი ფორმის თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები (1,2) ბორცვის ქვედა I დონიდან (2,3,2,5 მ სიღრმე); ამ ტიპის კერამიკა (4,5)-II ჰორიზონტიდან.

ტაბ. XL. დერგისებური (1,2) და ქვევრისებური (3-5) ჭურჭლის ფორმები წინაანტიკური ხანის ფენიდან.

ტაბ. XLI. ჯამისებური და ფიალისებური ფორმის ჭურჭელი მონაზვინი (3-6) და წინაანტიკური (1,2,7,8) ხანის ფენიდან.

ტაბ. XLII.1-15- ძირების ფრაგმენტები ბორცვის სხვადასხვა დონიდან.


ტაბ. XLIII, XLIV- ძვ. კოლხური I ეტაპის ორნამენტით შემკული კერამიკა მოზინული ფენიდან.

ტაბ. XLV.1-6. ხელსაფქვავის ფრაგმენტები წინანტიკური ხანის ფენიდან.


ტაბ. XLVI.1-3- გაურკვეველი დანიშნულების ჩამოსახმელი ქვის ყალიბები; **4-** დამუშავებული ქვის ნივთი; თიხისა (5) და ქვის (6,8) თევზსაჭერი ბადის ჩასაბმელი სანაფები; **7-** შურდულის ქვა წინანტიკური ხანის ფენიდან.

ტაბ. XLVII.1,3, 4-6 კვირისტავეები; **7-** თიხის ბორბლის იმიტაცია, **8,9-** კაჟის ისრისპირები; **10-** სალესი ქვა; **11-** თიხის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი; **13-** გამლღვარი ლითონის ჩამოსასხმელი თიხის ციცხვი წინანტიკური ხანის ფენიდან.

I



I



2

II



1



2

III






1



2

“გულეიკარის დინაგუბა”-2006






1



2

“გულეიკარის დინამიკა”-2006



- შეკრიფილი ბაიჭაშოვანი ფენა
- მოყვითალო მიმწვანო თონატკუნული
- ნაცროენი ფენა ნახშირის მქლავრი ჩანარებით და წვრული ბაიჭაშოვან მინარევით
- რიყის ქვის ჩანარობა
- მოზოციფიტი უკვსება

VII




1



2

“გულეიკარის დისაგუქუბა”-2006



- | | |
|--|---|
| | სკერივი ბაიჭაშოვანი ფენა |
| | მოყვითალო მომწვანი თიხატკუნალი |
| | ნაცროვანი ფენა ნახშირის მძლავრი ჩანართებით და წვრილი ბაიჭაშუბის მინარევით |
| | რეის ქვის ჩანართები |
| | მოზინიანი შევსება |



1




2



3

“გულეიკარს დისკოპუბა”-2006






1



2

“გულეიკარის დიხაგუძუბა”-2006



XIII



A



B



C




D



E

“გულეიკარის დინაგუტუბა”-2006






1



2

“გულეიკარს დისბუკება”-2006






1



2





A



B




C




D



E





























































XL




















0 2 4







შემოკლებათა განმარტება

მსკა-მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის

სდსძ-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები

სმამ-საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე

ძმ-ძეგლის მეგობარი .

ПАИ- Полевые археологические исследования.